№ 92
(11 344)

26 – 29 ნოემბერი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ამბოხს მოჭადრაკეები იწყებენ...

## ეს პროცესი მოსალოდნელია მთელ ქართულ სპორტს მოედოს, ფინანსთა მინისტრი კი გვირჩევს, ნუ წავლენ სპორტსმენები შეჯიბრებებზე

ის, რომ ქართულ სპორტში კატასტროფული ვითარება შეიქმნა უსახსრობის გამო, ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან. გამოსავალიც არ ჩანს. პირიქით, ბიუჯეტიდან სპორტისთვის გამოყოფილი 4 მილიონ 200 ათასი ლარი ჯერ სამ მილიონამდე შემცირდა, შემდეგ 2 მილიონ 400 ათასამდე დავიდა, რაც წინა წლის ვალების ჩათვლით, ისეთი სპორტული ტრადიციების ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მხოლოდ სიმბოლურ თანხად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ უსახსრობამ დააუძლურა სპორტის ცალკეული სახეობები და, საერთოდ, ჩვენი ეროვნული სპორტი. ვინც შეძლო, უცხოეთში წავიდა, ვინც შინ დარჩა, პოტენციურად ავადმყოფ სპორტსმენად იქცა, რადგან არაა წვრთნის ნორმალური პირობები, მათ შორის ნორმალური კვება, სამედიცინო კონტროლი და ა. შ.

არაერთხელ გვითქვამს და გავიმეორებთ, რომ მიზეზთა ძიებაში სწორ გზას ავცდებით თუ ყველაფერი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს დაბრალდება. მაინც რა უნდა ქნას სპორტის ამ სახელმწიფო რგოლმა თუ თვით ქვეყანაშია ეკონომიკური ჩავარდნა, უბრალოდ, თუ ხაზინაში ფული არ არის? შეღევათად სულაც არ უნდა ჩაითვალოს ერთი ჩინოვნიკის, გადამხდელის თუ სახელმწიფო უწყებებში კორუფციის ხელშემწყობთა საქმიდან ჩამოშორება. ისინი, ჯიბეგასქელებულები, არხეინად ტოვებენ თანამდებობებს, ხაზინა კი წლიდან წლამდე გამოცარიელებულია. სპორტისადმი დახმარების აღმოჩენისათვის თვით ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუციებიც უყურადღებოდ რჩება. ფინანსთა მინისტრი უკვე დაუფარავად აცხადებს, „ნუ წახვალთ შეჯიბრებებზე!“

ბოლო ხანებში სპორტის ცალკეულ სახეობებში ბოიკოტის მუქარა გაისმის. არის თუ არა ეს შემაშფოთებელი ხელისუფლებისათვის? სულაც არა! რაც გინდა მოიმოქმედე, დღეს ამით ვერავის შეაშინებ, ყველაფერი იქით მიდის, რომ შეგვაჩვიონ აზრს – „არ არის ფული, ნურც სპორტს ექნება პრეტენზიები!“ სამწუხაროდ, სპორტის აღმზრდელობით, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციაზე, ერის სახელის საერთაშორისო სარბიელზე წარმოჩენაზე არავინ ფიქრობს.

ახლა ამბოხი მოჭადრაკეებმა, კერძოდ მაია ჩიბურდანიძემ წამოიწყო და, როგორც ირკვევა, ეს სულაც არ არის ერთი მოჭადრაკის პოზიცია. ჩიბურდანიძეს სოლიდარობას უცხადებს ნანა იოსელიანი, საერთოდ, ქართული საჭადრაკო ელიტა.

რამ აიძულა ჩვენი მოჭადრაკეები გადაედგათ ასეთი ნაბიჯი? „არავითარი შიმშილის აქცია, იმაზე მეტი პროტესტი რა უნდა იყოს, როცა საკუთარ ქვეყანაში ნანატრ ევროპის ჩემპიონატში, უძლიერეს მოთამაშეებს ვერ გამოიყვან. დაე, გაიგოს ხელისუფლებამ, მთელმა საზოგადოებრიობამ, რომ სპორტისადმი უგულო დამოკიდებულება უკვალოდ არ ჩაივლის“ – აცხადებენ ჩვენი მოჭადრაკეები.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ გონიერ ხალხს ვილაც მართავს, ან მათ არ სურთ გადადგან უკიდურესი ნაბიჯი, ანუ ბოიკოტი გამოუცხადონ საკუთარ სამშობლოში კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატს, ეს მათი ნებაა. სამართლიანობისთვის ერთს კი შევნიშნავთ: არ შეიძლება ვალი იმას მოსთხოვო, ვინც პირადად არ არის პასუხისმგებელი ამ ვალზე, არამედ დამოკიდებულია სხვაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – სახელმწიფოზე.

რაღა ამ დროს, როცა კარს მოგვადგა ევროპის ჩემპიონატი? „მაშ, როდის, ამბობენ „მეამბოხეები“, სწორედ ახლაა ხელსაყრელი მომენტი, რომ შინ თუ გარეთ, ყველამ გაიგოს, თუ რა დღეშია ქართული სპორტი“.

ვერაფერს იტყვი. ერთი ცხადია, „ჯადოსნურ წრეში“ ქართული სპორტია ყულფში თავგაყრილი.

მიმომხილველი

ბათუმი, მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური პირველობა იხ. მე-2 გვ.

## თამარ ხმიადაშვილი – მსოფლიო ორგზის ჩემპიონი



ქართველმა მოჭადრაკემ თამარ ხმიადაშვილმა მეორედ მოიპოვა ვეტერან მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ეს ასპარეზობა გაიმართა გერმანიის ქალაქ გლადენბახში. ჩემპიონატში 19 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ზატულოვსკაიას, მესამე – სოროკინას (ორივე – რუსეთი).

## ვერდიქტი რკინიგზელებს და გორელებს

*„ლოკომოტივი“ – „დინამოს“ (თბ) გახმაურებული მატჩი სადისციპლინო კომიტეტის ბოლო სხდომისთვისაც მთავარი საკითხი იყო. ამჯერად ვერდიქტი უნდა გამოეტანათ იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებმაც მატჩის მთავარი არბიტრისკენ „გაიწიეს“. ბრალდებულმა ფეხბურთელებმა ლევან მიქაძემ და გიორგი ბილაშვილმა, რა თქმა უნდა, აღიარეს, რომ მათი საქციელი სანიმუშო არ იყო, მაგრამ მატჩის არბიტრისკენაც გამოთქვეს პრეტენზიები – ფეხბურთელთა თქმით გურამ ასკარ-ოღლიმ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საბოლოოდ სადისციპლინო კომიტეტმა არაცალმხრივი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან სრული სიმკაცრით არ დაუსჯია ფეხბურთელები. ლევან მიქაძეს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა აკმარეს (200 ლარი), ხოლო გიორგი ბილაშვილს 1000 ლარის გადახდა მოუწევს, თანაც დისკვალიფიკაციის ვადა სეზონის ბოლომდე „გაუგრძელეს“. თუმცა, სადისციპლინო კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა ბილაშვილის საკითხს ხელმეორედ დაუბრუნდეს. აგრეთვე დაისაჯა მეტოქე გუნდის ფეხბურთელიც – დინამოელ გიორგი ანჩაბაძეს, რომელსაც ასკარ-ოღლის ასისტენტი არ მოუვიდა თვალში, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარი ჯარიმა აკმარეს.*

*სხდომის მეორე საკითხი ეროვნული ჩემპიონატის XIII ტურის არშემდგარი მატჩი გახლდათ – იბერია-დილა (20.XI). გორელებმა უამინდობის გამო სამტრედიაში ჩასვლა დააგვიანეს. სადისციპლინო კომიტეტმა ცუდი მეტეოროლოგიური პირობები საპატიო მიზეზად სცნო და შეხვედრის თარიღად 25 ნოემბერი დაასახელა.*

## მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი სპორტში მოღვაწეობის 60 წლისთავს ულოცავს ქართველ ტანმოვარჯიშეთა უფროსი თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს ქალთაგან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ქართული სპორტის XX საუკუნის ლაურეატს ქალთა შორის ქალბატონ **მზია ჯუღელს.**

## ვანო ზოდელავა ნინო სალუქვაძეს დაპირდა...

ქართული სპორტის XX საუკუნის ლაურეატთა შეკრებაზე, თბილისის მერი ვანო ზოდელავა ნინო სალუქვაძეს შეპირდა, რომ სიდნეისთვის მისი მომზადებისა და თამაშებში მონაწილეობის ხარჯებს გაიღებს დედაქალაქის მერია.

სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციამ შეადგინა ხართაღრიცხვა, რომელიც დაახლოებით 60 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

# რა ამბებია ქართველ ლეგიონერთა ამქარში...

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ლეგიონერები ამ ბოლო დროს დიდად ვერაფრით გამოირჩევიან თავიანთ უცხოურ კლუბებში. ზოგი ძირითადში საერთოდ ვერ ხვდება, ზოგიც მხოლოდ შეცვლებზე თამაშობს, ზოგიც ტრავმებმა შეიკლეს... თუმც, მოდით, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

დავიწყოთ ბუნდესლიგით, სადაც სამი ჩვენებურის „ფრაიბურგი“ გამოდის. ბოლო, XIII ტურში ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონმა, მიუნხენის „ბაიერნმა“ გაანადგურა (6-1). *ლევან ცქიტიშვილსა* და *ალექსანდრე იაშვილს* ტრავმების გამო არ უთამაშიათ. ხოლო *ლევან კობიაშვილმა* სრულად ჩაამთავრა 90 წუთი. როცა გუნდი ასეთი ანგარიშით მარცხდება, ძნელია კონკრეტულ ფეხბურთელებს რაიმე შეფასება მისცე, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ლევან კობიაშვილს ძირითადში ადგილი დაჯავშნული აქვს და გუნდის წარმმართველი მოთამაშეა.

ტრავმის მოშუშების შემდეგ პრემიერლიგის ბოლო ტურში შეცვლაზე ითამაშა ნიუკასლელმა *თემურ ქეცბაიამ* – მან მინდორზე ბოლო 8 წუთი დაჰყო და საკმაოდ აქტიურადაც ჩაერთო თამაშში. „ნიუკასლი“ სტუმრად დაუზავდა „უოტფორდს“ (1-1) და 13 ქულით პრემიერლიგის გათამაშების ცხრილში მე-16 ადგილზეა. *გიორგი ქინქლაძის* „დერბი ქაუნთიმ“ შინ ვერაფერი გააწყო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ (1-2) და „ნიუკასლს“ ორი საფეხურით ჩამორჩება (12 ქულა). თვით ქინქლაძეს ბრიტანეთის დასაქმების სამინისტროდან ჯერაც არ მიუღია სამუშაო ვიზა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ამ პრობლემის უახლოეს დროში გადაჭრას ირწ-

იხ. მე-3 გვ.





მარსელი — ლაციო 0–2

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგის II ეტაპის I ტურის შედეგები და მიმოხილვა

იხ. მე-4 გვ.



დინამო — რეალი 1–2

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### ბ ზონა

XIII ტურის გადადებული მატჩი

*იბერია (სამტრედია) — დილა (გორი) 2-1*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 13 | 11 | 2 | 0 | 35-5 | 35 |
| კოლხეთი (ფ) | 13 | 8 | 0 | 5 | 19-5 | 24 |
| დილა | 13 | 5 | 2 | 6 | 16-22 | 17 |
| თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 12-17 | 17 |
| იბერია | 13 | 4 | 3 | 6 | 8-20 | 15 |
| მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12-12 | 15 |
| გორდა | 13 | 4 | 1 | 8 | 14-17 | 13 |
| კოლხეთი (ხ) | 13 | 2 | 4 | 7 | 15-23 | 10 |

# ვის მიელიან და ვის არა ბათუმში, მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ პირველობაზე?

*ევროპის XII გუნდური პირველობა, რომელიც 28 ნოემბერს საზეიმოდ იხსნება ბათუმში, მეტად მნიშვნელოვანი საჭადრაკო შეჯიბრებაა. მასში, წინასწარი განცხადებით, ვაჟთა და ქალთა 36-36 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. უკანასკნელი ასეთი ჩემპიონატი ორი წლის წინ ხორვატიის ქალაქ პულაში გაიმართა. იქ, ქალთა შორის გამარჯვება საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა, ვაჟთა შეჯიბრებაში კი ინგლისელებმა გაიმარჯვეს.*

რა არის მოსალოდნელი ამჯერად?

საქართველოს, როგორც ორგანიზატორ ქვეყანას, შეჯიბრებაზე რამდენიმე ნაკრებით გამოსვლის უფლება აქვს. თუ რამდენი გუნდი ითამაშებს ჩვენგან და რა შემადგენლობით, ჯერაც არ გადაწყვეტილა. განაცხადების ჩაბარების საბოლოო ვადა 28 ნოემბრის 16 საათია.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი, ალბათ შესუსტებული გუნდების ძირითად მეტოქეებად? ალბათ, ტრადიციულად რუსეთის ნაკრები, რომელსაც ამჯერად საორგანიზაციო სიძნელეები ჰქონდა და შეიძლება ბათუმში ზოგი წამყვანი მოჭადრაკის გარეშე ჩამოვიდეს. აგრეთვე უნგრელები და შესაძლოა, გერმანელებიც, რომელთა გუნდს ცნობილი ქართველი დიდოსტატი ქეთევან კახიანი უხელმძღვანელებს. თუ უკანასკნელი შეჯიბრებების მიხედვით ვიმსჯელებთ, კახიანის საბრძოლო მზადყოფნა ამჟამად საკმაოდ მაღალია. კარგად თამაშობს თეა ლანჩავაც, რომელიც ჰოლანდიის სახელით გამოდის.

მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს ვაჟთა ასპარეზობაც. ჩემპიონების — ინგლისელთა განაცხადში ამჯერად არ არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე მაიკლ ადამსი. პირველ დაფაზე კი ითამაშებს გამოჩენილი დიდოსტატი ნაიჯელ შორტი. გუნდის შემადგენლობაში აგრეთვე არიან ჯონათან სპილმენი და მეთიუ სადლერი. ასეთი შემადგენლობით ინგლისელებს, რა თქმა უნდა, წარმატების მოპოვების შანსი აქვთ. რამდენიმე სიტყვა რუსეთის ნაკრებზე, რომელიც ტრადიციულად იმარჯვებს ხოლმე საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ამჯერად, სიტუაცია ცოტა სხვანაირადაა. საქმე ის არის, რომ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციამ ნაკრების წევრებს არ გადაუხადა დაპირებული პრემიები უკანასკნელ, ელისტის ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის, რისთვისაც პროტესტი გამოხატეს ბათუმში ჩაუსვლელობით. ასე გამოაკლდათ რუსებს ვლადიმირ კრამნიკი, ევგენი ბარეევი, პეტრე სვიდლერი. არ ითამაშებს არც მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ფიდე-ს ვერსიით, ალექსანდრ ხალიფმანიც. თურმე ნუ იტყვით, მას ფიდემ დღემდე, არ გადაუხადა ლას-ვეგასში გამარჯვებისათვის განკუთვნილი ჰონორარი?! დიახ, მილიარდერ კირსან ილიუმჟინოვს „სულ რაღაც“ 660 ათასი დოლარის მიცემა გაუჭირდა, თუმცა დაპირებით კი დღემდე პირდება. საინტერესოა, რომ რუსეთის საჭადრაკო ფედერაციამ წამყვანი დიდოსტატები ნაკრებში არც კი მიიწვია, სულ ერთია, მაინც თამაშზე უარს იტყოდნენო.

საქართველოს ვაჟთა პირველ ნაკრებს საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობები ექნებოდა. აქ ნავარაუდევი იყო ჩვენი უძლიერესი დიდოსტატების ზურაბ აზმაიფარაშვილის, გია გიორგაძის, ზურაბ სტურუას, გიორგი ყაჭეიშვილისა და გია ბაღათუროვის გამოსვლა, მაგრამ... მეორე ნაკრები კი ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატებით იქნება დაკომპლექტებული. ანგარიშგასაწევია სომხეთის ნაკრები, სადაც პირველ დაფაზე ითამაშებს მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ფიდეს ვერსიით ვერცხლის მედლის მფლობელი ვლადიმირ აკოფიანი, აქვე გამოდიან ცნობილი დიდოსტატები: სამბატ ლპუტიანი, რაფაელ ვაჰანიანი და არტაშეს მინასიანი. გუნდი ასეთი შემადგენლობით ბევრჯერ წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ბულგარეთის ნაკრებში პირველ დაფებზე გამოდიან ვესელინ ტოპალოვი და კირილ გეორგიევი, გერმანიის ნაკრებში — ყოფილი მოსკოველი არტურ იუსუპოვი და მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი რობერტ ჰიუბნერი. ძალზე ძლიერია უნგრეთის ნაკრები, სადაც პირველ დაფაზე ითამაშებს ამ ბოლო ხანებში საჭადრაკო სამყაროში დაწინაურებული 19 წლის პეტერ ლეკო, მომდევნო დაფებზე კი ზოლტან ალმაში და ყოფილი ხარკოველი ალექსანდრ ჩერნინი. შესაძლოა ამ გუნდში, ცხადია, ვაჟთა დაფაზე ითამაშოს განთქმულმა იუდით პოლგარმაც.

ახლა კი ზოგი რამ ჩვენი ქვეყნის ყოფილ მოქალაქეებზე, რომლებიც ამჟამად სხვა გუნდების ღირსებას იცავენ. ჩეხეთის ნაკრებში პირველ დაფაზე გამოვა სერგო მოვსესიანი, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, ჩინებულად ითამაშა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე, შემდეგ კი ყურადღება მიიპყრო მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვისადმი მიმართული მწვავე პოლემიკური წერილით. იტალიის ნაკრებში ითამაშებს იგორ ეფიმოვი, რომელიც ერთდროულად ამ ქვეყნის მოჭადრაკეთა მთავარი მწვრთნელიც გახლავთ, საბერძნეთის ვაჟთა გუნდში იანის ნიკოლაიდისი (ყოფილი იან პოპოვი), ხოლო ქალთა გუნდში — საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილე ეკატერინა ფახირიდუ (ფახიროვა).

ევროპის ჩემპიონატი ბათუმში დიდ ინტერესს იწვევს. მისი დამთავრების შემდეგ, აქვე დაიწყება დიდი ღია საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიული სისტემით.

**ბიჟი ბამრეკელი**

## ქართული გვარ-სახელები ქართულ სპორტში

### იაკობ ახუაშვილის გამოკვლევების მიხედვით

### ავალიშვილი

ავალიშვილები ფეოდალური საგვარეულო იყო საქართველოში, დაწინაურდა XV-XVI საუკუნეებში ძველი თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა). ავალიშვილები ძველად ციციშვილთა გვარს ენათესავებოდნენ და წინაპარს სახელად ავალა ერქვა. თავდაპირველად სახლობდნენ ახალციხის ახლომახლო, როცა ათაბეგი „განდგა და დაიპყრა ახალციხე თავისად შეწევნითა თურქთა წელმა 1601, მათგან რომელიმე შთავიდნენ იმერეთს, სხვანი მოსახლე იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობისა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობის მიზეზთა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა. რომელიმე განვიდნენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: პეტრესაშვილები, გოგიასშვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი“.



გიორგი ავალიშვილი

ავალიშვილთა რიცხვი საქართველოში არის 944 (თბილისი – 393, ხარაგაული – 107, გარდაბანი – 98...). ქართულ სპორტში ავალიშვილთა გვარის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გიორგი ავალიშვილი – სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი კალათბურთში.

*არლანი კვნესის, ვით შერისხული,*
*განთიადს შენი ტუჩის ფერი ძევს,*
*ხომ არ ჩასახლდა შიგ შენი სული*
*შე გულადარა სულაბერიძევ.*

**ზურაბ კუხიანიძე**

# მეოგა

## ეძღვნება ოთარ სულაბერიძის ხსოვნას

**ოთარ სულაბერიძე იმ ღირსეული ერის კაცების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელს დავიწყება არ უწერია. მართალია, ამ ღვთისნიერი კაცის გარდაცვალებიდან ორ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ქუთათურებს და არა მარტო ქუთათურებს, შეიძლება თამამად ითქვას, მთელ საქართველოს, დღესაც კარგად ახსოვთ გულმხურვალე მამულიშვილი, დიდი მეომარი, სპორტსმენი, მოქალაქე და ღირსეული ქუთაისელი მეობა, როგორც სასიყვარულოდ ქუთათურებმა ოთარ სულაბერიძეს შეარქვეს.**



ოთარ სულაბერიძე

40-იან წლებში რიონისპირა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში დიდი საკალათბურთო ბუმი იგრძნობოდა. მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ მანამდე უცნობი ქუთაისელი კალათბურთელების ამოუცნობი ფენომენის შესახებ. რაც მთავარია, ჩვენი ბიჭები მაშინ ყველასგან განსხვავებულ ე.წ. ქართულ კალათბურთს თამაშობდნენ, რომელიც როგორც შინაარსით, ასევე სათამაშო ხასიათით განსხვავდებოდა ყველა გუნდისაგან. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ კალათბურთი, ჩვენში ახლად დამკვიდრებული სპორტის ეს სახეობა, ის-ის იყო ქვეყანაში დიდ პოპულარობას იძენდა და ქუთაისელმა ბიჭებმა მისი სათამაშო არსი ისე გაითავისეს, რომ ეროვნული კოლორიტით, ჭეშმარიტი ქართველი კაცის დაუდეგარი ხასიათით შეავსეს, ყოველივე ამან მეტი შნო და ლაზათი მისცა ჩვენს კალათბურთს.

ისიც ნუ გაგიკვირდებათ თუ ქუთაისში, მართლაც ამ მადლიან საკალათბურთო ქალაქში აღიზარდა მთელი პლეადა საქვეყნოდ აღიარებული კალათბურთელებისა. ცნობილი დიდოსტატების ოთარ ქორქიას, ძმები ალეკო და შოთა მესხების, ჯუმბერ ნიჟარაძის, შოთა ქორქაშვილის, შოთა ახვლედიანის, სულიკო თორთლაძის, კუკური არლანაშვილის, რეზო გოგელიას, ზურაბ და ანზორ საკანდელიძეების, მიხეილ ქორქიას, ნიკოლოზ დერიუგინის, გელა დარსაძის, ზურაბ გრძელიძის და მრავალ სხვათა სახით არა მარტო ქართულ კალათბურთს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებ გუნდსაც ღირსეულ მოთამაშეთა თანავარსკვლავედი ჰყავდა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ოთარ სულაბერიძე იყო.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში ქუთაისის სპორტის პატრიარქმა გივი კილაძემ ოთარ სულაბერიძე და მისი თანატოლები კალათბურთის ანბანს აზიარა, ნიჭიერმა შეგირდებმა სწრაფად აითვისეს სპორტის ამ ლამაზი სახეობის წვრილმანი ნიუანსიც კი და რესპუბლიკურ სარბიელზე ქუთაისელი ყმაწვილები თანატოლებს შორის წლების მანძილზე პირველობდნენ.

1936 წელს ბათუმში ჩატარებულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქუთაისის გუნდი კვლავ უძლიერესი იყო, ხოლო გამარჯვებულებმა ოთარ სულაბერიძემ, შოთა ქორქაშვილმა, დათო სირბილაძემ, გრიშა ლოსაბერიძემ, კარლო ხურციძემ და ლეო ქორქოლაძემ საყოველთაო ქება დაიმსახურეს.

მეორე მსოფლიო ომმა არაერთ ახალგაზრდას აურია გზა-კვალი. მათ შორის ოთარ სულაბერიძეც იყო და სწავლაზე შეყვარებულმა ჭაბუკმა სამხედრო ფარაჯა მოირგო.

მე-18 არმიის ყოფილი კაპიტანი სერგო გოშხეთელიანი იგონებს: „ნოვოროსიისკის მიდამოებთან უშედავათო ბრძოლებში მეავტომატეთა ათეულს ოთარ სულაბერიძის მეთაურობით ერთ-ერთი სიმაღლე უნდა აეღო. ათეულმა გადალახა დანაღმული ველი. ოთარ სულაბერიძე პირველი მიიჭრა იერიშზე და მებრძოლებიც გაიყოლია. მტერმა ახლო მანძილიდან ტყვიის ცეცხლით ათეულის შეჩერება შეძლო. მაშინ ოთარის განკარგულებით მებრძოლები ველზე ხოხვით მიუახლოვდნენ მტრის საცეცხლე წერტილს, რომელიც ათმეთაურმა ორი ყუმბარის ზუსტი ტყორცნით გაანადგურა. ამის შემდეგ ათეული ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ოთარმა 7 გერმანელი გაანადგურა, ააფეთქა მტრის სამეთვალყურეო პუნქტი რადიოსადგური. უეცრად მის წინ სამი ფაშისტი აღიმართა, ოთარმა ორი იქვე განგმირა, მესამემ გაქცევით უშველა თავს“.

ვინ იცის საბრძოლო ცხოვრების მძიმე და ურთულეს გზებზე რამდენჯერ სიკვდილს თვალებში ჩაუხედავს ოთარ სულაბერიძისთვის, ბევრჯერ ბეწვზეც ეკიდა მისი ყოფნა-არყოფნაც, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

1945 წელს მთავრობის ჯილდოებით შინ დაბრუნებული ოთარ სულაბერიძე კვლავ სპორტულ სარბიელზე იხილეს მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა. მართალია, მოსკოვის ცნობილი საკალათბურთო გუნდები „დინამო“ და ცდკა ქუთაისელ რაინდს თავიანთ რიგებში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გრიგოლ მეუნარგიამ, რომელმაც კარგად იცოდა ოთარ სულაბერიძის წონა და ფასი, თავის გუნდში მიიწვია. მაშინ თბილისის არმიელთა გუნდის წევრები ნოდარ ჯორჯიკია, გივი ახვლედიანი, ალექსანდრე ვაჩაძე, ლევ ძეკონსკი და სხვები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ საკავშირო სარბიელზე და ოთარ სულაბერიძის მისვლამ კიდევ უფრო საინტერესო და მონოლითური გახადა გუნდი.

1946 წელს ოთარ სულაბერიძემ და მისმა თანაგუნდელებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს, სადაც ფინალში ანგარიშით 36:13 დაამარცხეს მოსკოვის ვვს-ის ძლიერი გუნდი.

ცნობილი კალათბურთელის კუკური არლანაშვილის მოგონებიდან: „ოთარ სულაბერიძის თამაში სანახავად საინტერესო და გამორჩეულიც კი იყო. მეტიც, იგი ახლოს იყო იმ მაღალ ხელოვნებასთან, რასაც დღეს სპორტში არტისტიზმს უწოდებენ“.

ოთარ სულაბერიძემ ყველასგან მოულოდნელად, ზენიტში მყოფმა, საბოლოოდ დატოვა თბილისი, მიზეზი კი — პირველი ლამაზი სიყვარულის წარუმატებელი ფინალი.

მშობლიურმა რიონისპირა ქალაქმა გულთბილად მიიღო თავისი „ლტოლვილი“ შვილი, რომელიც წლების მანძილზე სათავეში ედგა ქალაქის ნაკრებ გუნდს და უნარიანად ხელმძღვანელობდა კალათბურთელთა სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებზე. წლების მანძილზე მშობლიურ ქალაქში საკუთარი ბინა არ ჰქონდა და „დინამოს“ სტადიონზე ეულად ცხოვრობდა. ბოლოს, როგორც იქნა მისთვის გაიმეტეს ბინა.

როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, მწვრთნელის ამპლუაში მოგვევლინა და როგორც მას ეკადრებოდა პედაგოგიურ საქმიანობაშიც თავისი რაინდული სიტყვა თქვა, ქალაქის ქალთა ნაკრებ კალათბურთელთა გუნდს ჩაუდგა სათავეში და მრავალ ნიჭიერ ქალიშვილს გზა გაუხსნა დიდი სარბიელისკენ. იმდროინდელი ქუთაისის ქალთა ნაკრები კარგი რეპუტაციით სარგებლობდა რესპუბლიკურ სარბიელზე. ოთარ სულაბერიძე ხარობდა ახალგაზრდების მიღწევებით, თუმცა, სიხარულს ან წყენას იშვიათად შეატყობდა კაცი, შორს იყო ყოველგვარი ემოციებისაგან. მისი დინჯი, აუღელვებელი, დამაჯერებელი საუბარი ყოველთვის გაიძულებდა მორიდებით ყოფილიყავი მის გვერდით.

ოთარ სულაბერიძე არაერთი თანამემამულის საიმედო ფარი და მახვილი იყო. ასევე ერთგულად ედგა მხარში იგი თავის შეგირდებსაც. ვეტერანი პედაგოგის 32-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის ნელი ბოლქვაძის მოგონებიდან: „ერთხელ ვარჯიშის დამთავრებისას ძმამ მომაკითხა, რომელიც ოთარ მასწავლებელს გავაცანი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იმ საღამოს პატივცემული მასწავლებელი სახლში გვესტუმრა, ჩემი ნათქვამი შეამოწმა და სიმართლეში დარწმუნებული გულდამშვიდებული წავიდა. გოგონებმა კარგად ვიცოდით საყვარელი მასწავლებლის მაღალი სამაგალითო ზნეობრივი თვისებები და ჩვენც კარგი აკადემიური მოსწრებით, სანიმუშო ყოფაქცევით, კალათბურთის კარგი თამაშით ერთგვარ ხარკს ვუხდიდით დიდ კერპს“.

ოთარ სულაბერიძე დიდად განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო, ღრმად ჩახედული ჩვენი ერის სისხლსავსე ისტორიასა და ლიტერატურაში. ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კინოს და თეატრის ცნობილ მსახიობებთან გიორგი შავგულიძესთან, აკაკი ვასაძესთან, დოდო ანთაძესთან, სერგო ზაქარიაძესთან, შოთა პირველთან, ვახტანგ მეგრელიშვილთან. ცნობილ პოეტებთან ოთარ მამფორიასთან, კოლაუ ნადირაძესთან, ზურაბ კუხიანიძესთან და სხვებთან.

ერთხელ, ეს იყო 1968 წელს, ბატონმა ოთარმა ბინაზე მიმიპატიჟა და პატარა სუფრა გააწყო. ნოემბრის სუსხიანი დღე იდგა. გარეთ ქარი ბობოქრობდა და მყუდრო ოთახის ფანჯრებს ასკდებოდა. მასპინძელი ოლიმპიური სიმშვიდით საინტერესო ამბებს იხსენებდა, რაც ძვირფას მარგალიტად შემორჩა ქართული სპორტის ისტორიას.

ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, რომ ოთარ სულაბერიძე ქართული ენის ერთგული დამცველი და მსახური იყო. ერთხელ ნაწყენი კილოთი მითხრა: პეტრე გრუზინსკი ქართულ ენას ამახინჯებსო, რაც ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის ნაშიერს არ ეპატიებაო. ნათქვამის საილუსტრაციოდ პეტრე გრუზინსკის ტექსტებზე შექმნილ სიმღერებს იხსენებდა ქართული კინო-ფილმებიდან, რაც სათუთად ჰქონდა ჩაწერილი და შენახული.

ოთარ სულაბერიძეს ცხოვრების შუა გზაზე გულმა უმუხთლა. უდროოდ ჩაიმუხლა ჯვარცმული ცხოვრების ძნელად სავალ გზაზე. მთელი საქართველო ალალად ტიროდა ამქვეყნიდან უდროოდ წასულ რაინდს. თანაქალაქელებმა ღირსეული პატივით მიაბარეს იგი მშობლიურ მიწას. ნაღდი ქუთაისელის დიდმა კაცობამ უზადოდ და სპეტაკად განვლილმა 52 წელმა სათანადო ასახვა ჰპოვა ოთარ მამფორიას, ზურაბ კუხიანიძის, რევაზ ნაჭყებიას და სხვათა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ცნობილმა მოქანდაკემ რეზო რამიშვილმა ქვაში უკვდავყო ოთარ სულაბერიძის ნათელი სახე.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ კაცმა უშეცდომოდ და უხინჯოდ განვლო ტაძრისკენ სავალი გზა და მისაბაძ მაგალითად დარჩა შთამომავლობისათვის.

**ზურაბ ჯაფარიძე**

ხელმოწერა „ლელო“-ზე გრძელდება!

# რა ამბებია ქართველ ლეგიონერთა ამქარში...

*(პირველი გვერდიდან)*

მუნება. ინგლისის პირველ დივიზიონში ბრწყინვალედ ასპარეზობს „მანჩესტერ სიტი", რომელსაც მხოლოდ ერთი ქართველიღა შემორჩა – ***კახი ცხადაძე.*** ჩვენი ეროვნული გუნდის ექსკაპიტანს კვლავ ტრავმა აქვს, ნაოპერაციებ ფეხზე ტკივილები კიდევ აწუხებს. ცხადაძე კონსულტაციებზე იყო გერმანელ ექიმებთან ფრანკფურტში, სადაც დაიმედეს, რომ დროთა განმავლობაში (კონკრეტული ვადა ვერ დაასახელეს) ტკივილები ქირურგიული ჩარევის გარეშე გაქრება. „მანჩესტერ სიტი" 39 ქულით სათავეში უდგას გათამაშების ცხრილს და, რა თქმა უნდა, პრემიერლიგაში დაბრუნების უპირველესი კანდიდატია.

***შოთა არველაძის*** „აიაქსი" ჰოლანდიის პირველობას ლიდერობს, მაგრამ გუნდის თავკაც იან ვოუტერს ათვალწუნებული ჰყავს ჩვენი ეროვნული ნაკრების ბომბარდირი. მის პოზიციაზე მოთამაშე ბერძენი ლეგიონერი ნიკოს მახლასი ვერაფრით გამოირჩევა, მაგრამ ვოუტერსი მაინც ჯიუტობს. შოთა ახლა ტრავმირებულია და თუ გამოჯანმრთელების მერეც არ დააყენებენ ძირითადში, გადაწყვეტილი აქვს „აიაქსის" დატოვება. ჩვენებურს უკვე რამდენიმე ესპანური კლუბი ეპატიჟება. შოთას ტყუპისცალი ***არჩილი*** კი ჰოლანდიის მეორე დივიზიონის „ბრედას" ნამდვილი ლიდერია. ბოლო ტურში მან ჰეთ-თრიკიც შეასრულა „ჰაარლემთან" (6-1) და 10 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავაში მესამეა. „ბრედა" კი მეორე ადგილზეა და პირველ დივიზიონში დაბრუნებისთვის იბრძვის. რაც შეეხება ***უფროს არველაძეს,*** გეტყვით, რომ რეზოს „ობერჰაუზენი" მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერია (ბოლოდან მეორე ადგილი), რომლის ძირითად შემადგენლობაში ჩვენებური ვერ ხვდება.

ბელგიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფ „ლიერსში" ქართველი მცველი ***გელა შეყილაძე*** უმეტესწილად შეცვლებზე თამაშობს, ხოლო მე-11 პოზიციაზე განლაგებული „სტანდარტის" 19 წლის ფორვარდი ***ლაშა ჯაკობია,*** საერთოდ, ვერ ხვდება ძირითადში. ლაშას ერთი პირობა კლუბის დატოვებაც განეზრახა, მაგრამ „სტანდარტის" ხელმძღვანელობა ვერ შეელია მას და უახლოეს მომავალში ძირითად შემადგენლობაში დაყენებას დაჰპირდა.

შვეიცარიაში საქმე კარგად ვერ აქვს ***მიხეილ ყაველაშვილსა*** და ***გოჩა ჯამარაულის „ციურიხს",*** რომელიც მე-8 ადგილზე იმყოფება. ბოლო დროს, ყაველაშვილი ველარ ხვდება ძირითადში, მას შეცვლებზეც არ ათამაშებენ. ჯამარაული კი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

ყაველაშვილის ბედს იზიარებს ***გიორგი კიკნაძეც,*** რომელიც თურქული „სამსუნსფორის" წევრია. „ინსტანბულსფორის" ***ვალტერ გუჩუაზე*** ამის თქმა ჯერ არ ეგების, რადგან ტრანსფერი ეს-ეს არის შედგა.

გადამწყვეტ ფაზაშია რუსეთის საუკეთესო ბომბარდირის, ***გიორგი დემეტრაძის*** ახალი ტრანსფერი. ის ახლა კიევშია და შესაძლოა, ***კახი კალაძის*** დარად, იქაური „დინამოს" მაისურიც მალე მოირგოს.

**დათო თავართქილაძე**

# ფეხბურთის გულშემატკივრის წერილი „ლელოს" რედაქციას!

# ვითამაშოთ სამართლიანი ფეხბურთი!

ფეხბურთი სპორტის №1 სახეობაა, ფეხბურთი სპორტის ულამაზესი სახეობაა, ფეხბურთი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე თამაში და სპორტი. ეს რომ ასეა, ვიცით, მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ფეხბურთი ზოგჯერ უსამართლოა, უსამართლოა თავისი შედეგით. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ უტევს ერთი გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში, მაგრამ გოლი ვერ გააქვს, ბედი არ სწყალობს, ხოლო მეტოქე ერთადერთ კონტრშეტევას, მატჩის რომელიცაღ წუთზე, გოლით აგვირგვინებს. ხშირად ეს გოლი აღმოჩნდება ხოლმე გადამწყვეტი ამ შეხვედრაში. განა ეს სამართლიანია? არის კი ის გუნდი დამარცხების ღირსი, რომელიც დამარცხდა და არის კი ის გუნდი გამარჯვების ღირსი, რომელმაც გაიმარჯვა? (ამის საილუსტრაციოდ თუნდაც საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩი გამოდგება: საქართველო — მოლდოვა 0-1). აუცილებელია ცვლილებები ფეხბურთის წესებში. (ავტორი აქვე გვაცნობს თავის ვარიანტს, რომლის გამოქვეყნება უხერხულად მიგვაჩნია). მერწმუნეთ მეგობრებო, არ შეიძლება ამდენი მატჩის ყურება, სადაც ერთ გუნდს აშკარა უპირატესობა აქვს, წარმატებას კი მეორე აღწევს. გავიხსენოთ თუნდაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე თბილისის „დინამოს" მატჩები, სადაც აშკარა უპირატესობის მიუხედავად (სუსტ გუნდებთანაც კი), გუნდი ვერ აღწევდა წარმატებას, რასაც ამდენი ნერვიულობა მოჰყვებოდა ხოლმე ჩვენი გულშემატკივრების მხრიდან. ეს ხდებოდა ყველა ქვეყნის ჩემპიონატებში.

გადავიდეთ სპორტის მეორე სახეობაზე — ჭადრაკზე. როგორ არის იქ საქმე? „ჭადრაკი ყოველთვის მართალია", „ჭადრაკი არ ტყუის", „ჭადრაკი ყოველთვის სწორია" იმეორებენ ცნობილი დიდოსტატები და ყველა დარწმუნებულია, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ, სიმართლეს ამბობენ იმიტომ, რომ ჭადრაკში ყოველი პოზიციური და სათამაშო უპირატესობა გვირგვინდება მომგებიანი კომბინაციით და უპირატესობის მიმღწევი მოთამაშე ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. დავანებოთ თავი იმას, რომ უპირატესობის გამოყენებას ყოველთვის ზუსტი თამაში უნდა, დავანებოთ თავი იმას, რომ თუ მოულოდნელი შეცდომა დაუშვი, შეიძლება მაინც წააგო. მთავარი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ჭადრაკის სათამაშო კანონი სამართლიანია. გესმით?

— ჭადრაკი სამართლიანია. მაშ, სპორტის №1 სახეობა — ფეხბურთი, — რატომ უნდა იყოს უსამართლო? განა უკეთესი არ იქნება, თუ მისი კანონებიც სამართლიანი იქნება? დავფიქრდეთ მეგობრებო, ფეხბურთის გულშემატკივრებო, სპეციალისტებო, ფეხბურთის მამებო, განა ფეხბურთის წესებში ყველაფერი თავის რიგზეა? მე გთხოვთ გავმართოთ პოლემიკა „ლელოს" ფურცლებზე, ერთმანეთის აზრი მოვისმინოთ, ხოლო რაც შემეხება მე, ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ. კიდევ ერთხელ გემუდარებით — ვითამაშოთ სამართლიანი ფეხბურთი!

**ალექსანდრე ღურწკაია,**
ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარი

# რეგიონული ლიგა

## დასავლეთი

### „ა" ზონა, XI ტური

მეშახტე-რწმენა 1-0, მაღაროელი — მარგვეთი 0-0, მეტალურგი — გურია 3-2, იბერია — სულორი 3-0, ინტერი — ოკეანე 0-0.

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 11 | 9 | 2 | 0 | 32-6 | 29 |
| ოკეანე | 11 | 6 | 2 | 3 | 21-11 | 20 |
| მეტალურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 18-15 | 18 |
| ინტერი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-9 | 17 |
| იბერია 2 | 11 | 4 | 5 | 2 | 15-11 | 17 |
| გაგრა | 10 | 3 | 5 | 2 | 18-16 | 14 |
| სულორი | 11 | 3 | 5 | 3 | 13-19 | 14 |
| მაღაროელი | 11 | 2 | 4 | 5 | 16-19 | 14 |
| რწმენა | 11 | 2 | 4 | 5 | 7-15 | 10 |
| მეშახტე | 11 | 2 | 3 | 6 | 13-28 | 9 |
| რაჭა | 10 | 1 | 5 | 4 | 7-13 | 8 |
| გურია | 11 | 2 | 1 | 8 | 8-20 | 7 |

### „ბ" ზონა. XI ტური

ლაზიკა — მეგრი 0-1, სქური — მერცხალი 2-0, ჩელა — ბათუმი-2 1-1, სამეგრელო-შუქურა 3-0, კოლხეთი — ზუგდიდი 1-0,

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 11 | 8 | 2 | 1 | 33-14 | 26 |
| მეგრი | 11 | 8 | 1 | 2 | 16-9 | 25 |
| კოლხეთი 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 14-12 | 21 |
| ზუგდიდი | 11 | 6 | 2 | 3 | 30-13 | 20 |
| ლაზიკა | 11 | 6 | 2 | 3 | 21-12 | 20 |
| სამეგრელო | 11 | 4 | 3 | 4 | 19-14 | 15 |
| ფაზისი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-17 | 15 |
| სქური | 11 | 4 | 1 | 6 | 18-22 | 13 |
| ბათუმი 2 | 11 | 1 | 6 | 4 | 13-18 | 9 |
| მერცხალი | 11 | 1 | 4 | 6 | 7-14 | 7 |
| ჩელა | 11 | 1 | 2 | 8 | 10-31 | 5 |
| ბახმარო | 10 | 1 | 1 | 8 | 9-25 | 4 |

## აღმოსავლეთი

### „ა" ზონა, XI ტური

განთიადი — თორი 0-2, მესხეთი — ცხუმი 2-2,იბერია — ივერია 3-2, ვარძია — ცხინვალი 0-1, არაგვი — მრეტები 4-3,

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 10 | 8 | 2 | 0 | 16-2 | 26 |
| თორი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-6 | 22 |
| განთიადი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-10 | 22 |
| ივერია | 10 | 6 | 0 | 4 | 26-14 | 18 |
| ცხუმი | 10 | 4 | 2 | 4 | 18-13 | 14 |
| იბერია | 10 | 4 | 1 | 5 | 15-15 | 13 |
| ვარძია | 10 | 3 | 1 | 6 | 8-21 | 10 |
| საუ | 10 | 3 | 1 | 6 | 11-28 | 10 |
| მესხეთი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-23 | 10 |
| მრეტები | 10 | 1 | 4 | 5 | 9-18 | 7 |
| არაგვი | 10 | 1 | 1 | 8 | 12-28 | 4 |



### „ბ" ზონა. XI ტური

ზოოვეტი — ყვარელი 4-3, აკადემია — ხალიბი 2-0, თბილისი-2 — ჭაბუკიანი 0-1, არსენალი-2 — ლოკომოტივი-2 1-4, ამირანი — ალაზანი 3-1,

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ.-2 | 10 | 8 | 1 | 1 | 25-10 | 25 |
| ჭაბუკიანი | 10 | 7 | 0 | 3 | 17-7 | 21 |
| არსენალი 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 24-13 | 20 |
| ზოოვეტი | 10 | 6 | 2 | 2 | 25-15 | 20 |
| ამირანი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-18 | 17 |
| ალაზანი | 10 | 5 | 1 | 4 | 19-16 | 16 |
| ხალიბი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-17 | 11 |
| აკადემია | 10 | 2 | 3 | 5 | 6-9 | 9 |
| ყვარელი | 10 | 2 | 1 | 7 | 12-23 | 7 |
| სამგორი | 10 | 2 | 0 | 8 | 14-31 | 6 |
| თბილისი 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 10-20 | 5 |

# პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

**20 და 21 ნოემბერს გაიმართა მერვედფინალები:**

***„ნაძალადევი" — „ვერა" 3-1 (დამატებით დროში)***

*გოლები:* ირაკლი გეგეშიძე 1-0, ვახტანგ შავდია — 1-1, ნიკო შაქარაშვილი — 2-1, ირაკლი გეგეშიძე — 3-1.

***„ფალავანი" — „ავლაბარი" 3-1***

*გოლები:* სერგო ნაზარეტიანი — 0-1, გოგი მაკასარაშვილი — 1-1, ემზარ ბედინეიშვილი — 2-1, მალხაზ ჯორბენაძე — 3-1.

***„მეტეხი" — „სპორტული საქართველო" 2-5***

*გოლები:* ზურა გიორგაძე — 1-0, ალიკ სარქისიანი — 1-1. 2-1, დათო საღარეიშვილი — 3-1, გიო მეკოშკიშვილი — 3-2, ალიკ სარქისიანი — 4-2, რეზო კვინიკაძე — 5-2

***„დრონი" — „ლოკომოტივი" 1-6***

*გოლები:* მამუკა კიკვილაშვილი — 0-1, 0-2, იოსებ ნანობაშვილი — 1-2, კახა დაშნიანი — 1-3, ხვიჩა ჩხიკვაძე — 1-4, 1-5 მამუკა კიკვილაშვილი 1-6.

***„მაესტრო" — „სარბიელი" 2-1***

*გოლები:* კახა თალაკვაძე — 0-1, კახა კაჭარავა — 1-1, ნოდარ გურგენიძე — 2-1.



***„მილანი" — „ორბი" 4-2***

*გოლები:* მამუკა ჭიკაიძე — 0-1, დემურ გიორგობიანი — 0-2, დათო ნოზაძე 1-2, 2-2, 3-2, რამაზ დვალიშვილი — 4-2.

***„მთაწმინდა" — „თბილისი" 0-1***

*გოლი:* გოგა ფირცხელანი — 0-1

***„ვაკე 1" — „სახალხო ვერა" 5-4***

*გოლები:* რეზო ალექსიძე — 0-1, ავთო ასათიანი — 1-1, 2-1, კოკა ბიბილეიშვილი — 3-1, ნიკა კბილაძე — 3-2, რეზო დევდარიანი — 3-3, ავთო ასათიანი — 4-3 (პენალტით), კოკა ბიბილეიშვილი — 5-3, გიორგი თოთლაძე — 5-4.

მეოთხედფინალები შედგება 27 ნოემბერს: 12 სთ. მაესტრო — მილანი, 13 სთ. ფალავანი — ლოკომოტივი, 14 სთ. ნაძალადევი — თბილისი, 15 სთ. ვაკე 1 — სპორტ. საქართველო.

**მატჩები ჩატარდება სპორტკომპლექს „ქარიშხალას" დარბაზში.**



# „რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!"

## ქართული საბრძოლო ხელოვნების სისტემები: „მთიელთა საბრძოლო სტილი" – ხევსურთა საბრძოლო მომზადება

***მხედრობას*** სწავლობდნენ, როგორც უბელო, ისე შეკაზმულ ცხენზე ვარჯიშობდნენ სხვადასხვა მანძილზე. შეჯიბრება ცხენისა და მხედრის გამოსაცდელად იმართებოდა ხალხურ დღესასწაულებზე, აგრეთვე მიცვალებულის დაკრძალვის ან რიგის (სოფლიდან სოფლამდე) დროს. ეწყობოდა აგრეთვე მხედართა შეჯახება და სხვ.

გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის ***ხტომა.*** ხტებოდნენ ***თავისუფლად.*** ხელის დაუხმარებლად სიგრძესა და სიმაღლეზე: ჩვეულებრივად და განზე – კლდესა და ბექობზე თუ თოვლში ადგილიდან და გამოქანებით – სწორეზე, ფხვიერ მიწასა თუ თოვლზე; ხელაზიდული მწოლიარე კაცის სიგრძეზე (მესამე ასაკობრივ ჯგუფში); დაფენილ ნაბადებზე სიგრძივ – მეორე ასაკობრიივ ჯგუფში); სიგანით ერთ და სიგრძე-სიგანით ორ ნაბადზე – როგორც მეორე, ისე მესამეში; 25-30 წლიდან ხტებოდნენ სიგრძივ დაფენილ სამ ნაბადზეც; სხვადასხვა მდგომარეობაში მჯდომი მეგობრების ფეხებზე, ხელებსა და თავზე (შორსა და მაღლა); ***ბუნებრივ დაბრკოლებებზე*** (რუზე, გორაკზე, ბუჩქზე, ღობეზე, ნაკადულზე, ჯირკზე, მორზე, ლოდზე, ქვიდან ქვაზე და ა.შ.) და შორ-მაღლაც (ბულულზე; სიგრძე – სიგანე დაახლოებით 110 სმ); ორმაგად და სამმაგად – ადგილიდან და გამოქანებით (ცალი და ორი ფეხით); სიღრმეში – ორმოსა თუ ღელეში დგომელა, ჯდომელა, დაკიდებული; დაუხმარებლად თუ მეგობრის დახმარებით; ბექობიდან, ხიდან, კლდიდან, აივნიდან და სხვ.;

ხტებოდნენ აგრეთვე ბჯენით: ***ხელების დახმარებით – ბუნებრივ დაბრკოლებებზე;*** ოთურმის ყაიდაზე – წახრილ მეგობარზე (პირველ ასაკობრივ ჯგუფში), ნახევრად დახრილზე და თითქმის გამართულ, მაგრამ ოდნავ თავდაღუნულზე (მეორე და მესამე ჯგუფებში); მოძრავი საყრდენის (ჭოკის) გამოყენებით სიგრძეზე (წინ და განზე) და შორ-მაღლა; ხეზე, ქვაზე და სხვ.

წვრილ ქვას ***ტყორცნიდნენ*** ზურგთუკნიდან მხარზე გადმოცილებით მანძილზე და ნიშანში, მძიმეს (ასე 15 წლიდან) როგორც ბადროს, ოღონდ მოუბრუნებლად, და ყუმბარების კონასავით ტყორცნიდნენ აგრეთვე ნიშანში და მანძილზე მიჯვრას თუ სხვა საგნებს.

გამოყენება ჰქონდა მძიმე ქვის ***კვრას*** მანძილზე (ვინ უფრო შორს გადააგდებდა).

***სწევდნენ*** მჯდომსა თუ მწოლარე ადამიანს, სხვადასხვა სიმძიმეს (ქვას, სახვნელს და ა.შ.) – ბეჭით, კბილებით, ცალ და ორივე ხელით დგომელა, ჩაცუცქებით და ა.შ.

***სწევდნენ და გადაჰქონდათ*** ქვა დადებულ ადგილამდე თუ მანძილზე (ვინ უფრო შორს წაიღებდა), ხშირად უკან მოტანით.

***აგდებდნენ*** მხარზე გადმოტანით, მჯდომ თუ მწოლარე ადამიანს.

იცოდნენ ნიშანში ***სროლა*** ჩვეულებრივი და ***კონდახიან მშვილდის (ქეიბურიდან),*** ფილთა, ტალ-კვესიანი და შაშხანა თოფის. ბავშვები ერთობოდნენ სასულე იარაღითაც.

***ცეკვები*** იყო: სხვადასხვა, ფერხული, ხანჯლებით, ცერული და კომბინირებული (ერთი ხანჯლით ცეკვავდა, მეორე – ცერულს და სხვ.).

***თამაშობანი:*** ხალხურ თამაშთა ერთი წყება დღესასწაულს (ახალ წელიწადს და სხვ.) უკავშირდებოდა. ითვალისწინებდა სიფრთხილის გამოჩენას სხვადასხვა სახით, სიმბოლური შეტაკება სხვადასხვა იარაღის გამოყენებით, ძველი წლის მოტაცება, შესაწირავი ხორცის გატაცება „ღაბაღი" და ა.შ.



ხევსური ქალიშვილი

ხევსურთა (ქართველ მთიელთა საბრძოლო აღზრდის სისტემის ***ვასილ ელაშვილის*** მიერ შედგენილი სქემა წარმოდგენილი იქნება გაზეთის შემდეგ ნომერში ამ სისტემის მთელი სისრულით და უფრო ნათლად ჩვენებისათვის (წარდგენისათვის).

ხოლო რაც შეეხება ხევსურულ ორთაბრძოლებს ცივი იარაღით ანუ „ხევსურულ ფარიკაობას", „ჭრა-ჭრილობას" და ხევსურთა ცივი იარაღის შემადგენელი ნაწილის – „საბრძოლო რგოლებით" – „სათითენით" ხელჩართულ ბრძოლებსა და ხევსურული ჯირითობის ხელოვნებას („ცხენნი"), ისინი წარმოადგენენ მსოფლიოში ერთ-ერთ უნიკალურ საბრძოლო მეთოდებს (საშუალებებს) და მოითხოვს მათ ცალკე განხილვას...

**იური ყეინაშვილი,**
**საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.**
*სპეციალურად „ლელოსათვის".*
*(გაგრძელება იქნება)*

დასაწყისი იხ. „ლელოს" წინა ნომრებში

# ჩემპიონთა ლიგა

## II ეტაპი

### I ტური

A ჯგუფი

***ჰერტა – ბარსელონა 1-1***

*გოლები:* ლუის ენრიკე – 1-0 (14), მიხალკე – 1-1 (33)

***სპარტა – პორტუ 0-2***

*გოლები:* დრულოვიჩი – 0-1 (77), ჟარდელი – 0-2 (84).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ჰერტა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

B ჯგუფი

***ფიორენტინა – მანჩესტერი 2-0***

*გოლები:* ბატისტუტა – 1-0 (25), ბალბო – 2-0 (52).

***ვალენსია – ბორდო 3-0***

*გოლები:* ფარინოსი – 1-0 (60), ილიე – 2-0 (66), კილი გონსალესი – 3-0 (88).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| ბორდო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

C ჯგუფი

***დინამო – რეალი 1-2***

*გოლები:* მორიენტესი – 0-1 (17), რაული – 0-2 (48), რებროვი – 1-2 (85 პ.)

***როზენბორგი – ბაიერნი 1-1***

*გოლები:* იანკერი – 0-1 (10), სკამელსრუდი – 1-1 (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 9 | 2-1 | 3 |
| როზენბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

D ჯგუფი

***მარსელი – ლაციო 0-2***

*გოლები:* სტანკოვიჩი – 0-1 (64), კონსესიაო – 0-2 (78).

***ჩელსი – ფეიენოორდი 3-1***

*გოლები:* ბაბაიარო – 1-0 (45), ფლო – 2-0 (67), 3-0 (86), კრუზი – 3-1 (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ფეიენოორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| მარსელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# უეფას თასი

1/16 ფინალი. პირველი მატჩები

***უდინეზე (იტალია) – ლევერკუზენი (გერმანია) 0-1***

ბალაკი (75).

***ბოლონია (იტალია) – გალათასარაი (თურქეთი) 1-1***

1-0 სინიორი (68), 1-1 ჰაკან შუქური (83).

***ვოლფსბურგი (გერმანია) – ატლეტიკო (ესპანეთი) 2-3***

0-1 აგილერა (6), 1-1 იუსკოვაკი (21), 1-2 ჰასელბაინკი (37), 1-3 აგილერა (58), 2-3 აკონორი (83, პ.).

***აეკი (საბერძნეთი) – მონაკო (საფრანგეთი) 2-2***

0-1 ჟიული (25), 1-1 ნიკოლაიდისი (45), 1-2 სიმონე (77), 2-2 ნიკოლაიდისი (90).

## ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲔᲜᲔᲜ...

სამარის „კრილია სოვეტოვის“ ხელმძღვანელობამ და მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა მოლაპარაკება გამართეს მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილ კაპიტან ილია ციმბალართან.

კლუბის პრეზიდენტმა გერმან ტკაჩენკომ ჟურნალისტებს განუცხადა:

– ჩემი აზრით, ისეთი მოთამაშე, როგორიც ციმბალარია, მტკიცე, ავტორიტეტულ ევროპულ კლუბში უნდა გამოდიოდეს. თუკი იგი რუსეთში დარჩება, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენთან ითამაშოს. ახლა იგი კვლავინდებურად „სპარტაკის“ საკუთრებად ითვლება, მაგრამ ჩვენ რუსეთის ჩემპიონთან საერთო ენას გამოვნახავთ.

## ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲘᲕᲘᲡ...

როცა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გამოაცხადა, რომ საკმაო ფინანსურ კრიზისს განიცდის და ზოგჯერ მოთამაშეებისათვის ხელფასის დარიგებაც კი უჭირს, ამან თვით ინგლისელი მიმომხილველების ირონიული რეპლიკებიც კი გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ეს უმდიდრესი კლუბი წლიურ სახელფასო ფონდში 53 მილიონ დოლარს ითვალისწინებს, წლიური ბიუჯეტი კი 178 მილიონი დოლარია. ერთი სიტყვით, ინგლისის ჩემპიონს ამდენი ფული აქვს და მაინც ჩივის...

# ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲫᲚᲔᲕᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ ᲡᲢᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲓᲐᲣᲓᲝ

და აჰა, მეორე ეტაპიც დაიწყო. საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა პირველი ტურის მატჩები, რამაც გარკვეული კონტურები უკვე მოხაზა. ყველაზე დიდი ინტრიგა ფლორენციის „არტემიო ფრანკეზე“ გველოდა. „ფიორენტინამ“ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი „მანსეჩტერ იუნაიტედი“ მიიღო და მშრალზე გაუშვა ალბიონისკენ. სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ, რომ ჩვეულ ფორმაში ვერ იყვნენ. მართალია, არც ტრაპატონის გუნდი სწყვეტს ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ მას ჰყავს გაბრიელ ბატისტუტა. სწორედ იგი იყო შეხვედრის გმირი. „ბატი-გოლმა“ ჯერ „მანიუს“ კაპიტნის როი კინის უხეში შეცდომა შეიშნოვა, ხოლო იგივე არც ჰენინგ ბერგს აპატია და თავის თანამემამულე აბელ ბალბოსაც მეორე გოლი გაატანინა. საერთოდ, ინგლისელები ძალიან ბევრს უტევდნენ, მაგრამ მეტოქის დაცვა, იმ დღეს აუღებელი კედლივით იდგა. გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს მისი გუნდის საუკეთესო მატჩი იყო სეზონში, ხოლო გამოყოფით ისევ ბატისტუტა გამოყო. სერ ალექს ფერგიუსონი კი წაგებას ძირითადად იმ ორი უხეში შეცდომით ხსნიდა, რომლებზეც ზემოთ ვთქვით.

ამავე ჯგუფის მეორე მატჩში „ვალენსიამ“ „ბორდო“ გაანადგურა. განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა არგენტინელების – კლაუდიო ლოპესის და კილი გონსალესის კომბინაცია (ეს ტური თამამად შეიძლება, არგენტინელთა ბენეფისად ჩაითვალოს), რომელიც მესამე გოლით დასრულდა. მასპინძელთა დამრიგებელი ექტორ კუპერი თავისი გუნდის თამაშით აღფრთოვანებული ჩანდა. არც გაემტყუნება, რადგან „ვალენსია“ ჩინებულ ფეხბურთს თამაშობს თითქმის ყოველ შეხვედრაში.



დეიან სტანკოვიჩი (№ 20)

ბერლინში ჩამოწოლილმა ნისლმა გააუფერულა „ჰერტა“ – „ბარსელონას“ მატჩი. სტუმრებს, რომლებიც „A“ ჯგუფის აშკარა ფავორიტებად ითვლებიან, აკლდათ მთავარი დამრტყმელი ძალა – რივალდო. „ბარსა“ ლუის ენრიკეს გოლით დაწინაურდა, მაგრამ 20 წუთში გერმანელმა კაი მიხალკემ შორეული დარტყმით გაქვითა ანგარიში.

ამავე ჯგუფში „სპარტა“ მოულოდნელად დამარცხდა შინ „პორტოსთან“. კვლავ გაიტანა თავისი გოლი პორტუგალიელთა ბრაზილიელმა ბომბარდირმა ჟარდელმა, რითაც სამხრეთელები ჯგუფის პირობით ლიდერებად გახადა.

გაიმარჯვა კიდევ ერთმა ფავორიტმა, „ლაციომ“. თანაც მარსელში, სადაც აქამდე არც ერთ გუნდს არ უზეიმია მოგება ევროტურნირების ეგიდით. რომაელებმა მეორე ნახევარში ფრანგებზე სტანკოვიჩმა და კონსეისაომ ზეწოლით თითო-თითო გოლი შეაგდეს, მაგრამ მომდევნო მატჩში ისინი ვერ დაეხმარებიან გუნდს, რადგან აქტივი მეორე ყვითელი ბარათით „შეივსეს“. „ლაციოს“ არც „ჩელსი“ ჩამორჩა და შედარებით იოლად სძლია „ფეიენოორდი“. ამ მატჩში დუბლი შეასრულა ნორვეგიელმა ტორე-ანდრე ფლომ.

„C“ ჯგუფში ორი საინტერესო შეხვედრა შედგა და – ორივე ყინვაყიავათში. კიევში „დინამომ“ ველარ შეძლო შარშანდელის გამეორება და ამჯერად დამარცხდა „რეალთან“. დიდოსტატური გოლი გაიტანა რაულმა, რომელმაც კარიდან ოდნავ წინ გამოსულ შოვკოვსკის ოციოდე მეტრიდან თავზე გადაუგდო ბურთი. როგორც ჩანს, ბოლო დროს, უკრაინულ ფეხბურთს მცირე კრიზისის ხანა დაუდგა. კახი კალაძემ ეს მატჩი ორი გაფრთხილების გამო გამოტოვა. ლიგის შარშანდელი ფინალისტი „ბაიერნი“ კი „რუსენბორგს“ სტუმრობდა და იანკერმა შეხვედრის დებიუტშივე გახსნა ანგარიში, მაგრამ სკალესმსრუდმა შორეული დარტყმით გაქვითა იგი. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ბედმა არც ერთი არ გაიმეტა წასაგებად.

7-8 დეკემბერს მეორე ტურის მატჩები გაიმართება და მაშინ ნაწილობრივ გაირკვევა, ვინ არხეინად შეხვდება გაზაფხულს, ვინ – შეფიქრიანებული.

ილია ნანობაშვილი

# ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

***ესპანელი მიმომხილველები ეთანხმებიან მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსის გადაწყვეტილებას, გუნდის მთავარი მწვრთნელის, უელსელ ჯონ ტოშაკის გადაყენების შესახებ. კლუბს მოუხდება ტოშაკს 800 ათასი დოლარი გადაუხადოს, მაგრამ არ შეიძლებოდა „რეალის“ სათავეში ისეთი მწვრთნელის დატოვება, რომელსაც თითქმის ყველა მოთამაშესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. მათ შორის იყო დავორ შუკერი, პრედრაგ მიატოვიჩი (მათ ზაფხულიდან უკვე დატოვეს კლუბი), კლარენს ზეედორფი, ბოდო ილგნერი, ალბანო ბიძარი, ივან კამპო, ნიკოლა ანელკა, ფერნანდო იერო, თვით რაულიც კი.***

აი, ტოშაკის ზოგიერთი აზრი მოთამაშეების შესახებ: „ჩემი ფეხბურთელები მინდორზე უთავო წიწილებივით დარბიან“, „ორშაბათობით იმაზე ვფიქრობ, როგორ შევცვალო 10 მოთამაშე, სამშაბათს – 7 ან 8, ხუთშაბათს – 4, პარასკევს – 2, შაბათს კი იმ აზრამდე მივდივარ, მეტი რაღა ჩარაა, ისევ ის თხები უნდა ვათამაშო“.

ახლა, როგორც ფიქრობენ, დეკემბრის ბოლომდე „რეალს“ „მუდმივი“ მეორე მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე უხელმძღვანელებს, შემდეგ კი რომელიმე პირველხარისხოვან სპეციალისტს უნდა მიმართონ. ჯერ ბევრს ასახელებდნენ: „იოჰან კრუიფს, ნევიო სკალას, რამონ დიასს, არსენ ვენგერს, კარლოს ბიანკის, ოტმარ ჰითცფელდს, ოტო რეჰაგელს, რუუდ გულიტს. შემდეგ მათი რიცხვი შემცირდა, უფრო სწორად, სულ სხვებზე დაიწყო ლაპარაკი.

აი, ყველაზე რეალური, ესპანური პრესის აზრით, კანდიდატები:

***ხორხე ვალდანო (არგენტინა) მისი ღირსებები:*** უკვე წვრთნიდა „რეალს“, 1994 წლის ივლისიდან 1996 წლის იანვრამდე, მისი ხელმძღვანელობით „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონი გახდა. სწორედ მის ხელში დაწინაურდნენ რაული და რედონდო. ამჟამად რაიმე კონტრაქტი არა აქვს. ძალიან უყვართ „რეალის“ გულშემატკივრებს. ***მის წინააღმდეგ*** კი ის მეტყველებს, რომ გული აუცრუვდა საკუთარ პროფესიაზე, მეტისმეტად ექცევა პრესის გავლენის ქვეშ, არა აქვს დიდი სურვილი დაუბრუნდეს „რეალს“. შესაძლებლობები: გაზეთ „ელ მუნდოს“ აზრით, 35%, გაზეთ „ელ პაისის“ აზრით – 55 %, გაზეთ „მარკას“ აზრით – 55 %.

***რადომირ ანტიჩი (იუგოსლავია). ღირსებები:*** ამჟამად არსად მუშაობს. ფეხბურთის სამყაროში „მხსნელის“ რეპუტაცია აქვს. 1990-91 წლებში „რეალი“ კრიზისიდან გამოიყვანა მას შემდეგ, რაც კლუბში მწვრთნელად მუშაობდნენ ჯონ ტოშაკი და ალფრედო დი სტეფანო. ***ნაკლი:*** ძალზე მძიმე ხასიათი აქვს, ერთხელ უკვე გაანთავისუფლეს „რეალიდან“ „არასანახაობრივი ფეხბურთისათვის“. „რეალის“ გულშემატკივრების ნაწილს ანტიჩი არ უყვარს მადრიდის „ატლეტიკოში“ მისი ადრინდელი მუშაობის გამო. შესაძლებლობები: 14 % („ელ მუნდო“), 28 % („ელ პაისი“) 45 % („მარკა“).

***ფაბიო კაპელო (იტალია). ღირსება:*** გუნდში დიდი რეფორმები ჩაატარა, იგი სერიოზულად გააძლიერა მოწვეული ფეხბურთელებით, რომელთა ნაწილი ახლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს „რეალში“, იცის მათი ღირსება-ნაკლოვანებები. შეუძლია გუნდის შექმნა, რომ იტყვიან, არაფრიდან, იცის საწვრთნელი პროცესის მოგვარება და გაძღოლა. ***მის საწინააღმდეგოდ*** ლაპარაკობს ის, რომ კონტრაქტი აქვს „რომასთან“ (სადაც წარმატებებს აღწევს, გუუს ჰიდინკის განთავისუფლების შემდეგ უარყო სანსის წინადადება კვლავ დაბრუნებულიყო „რეალში“. შესაძლებლობები: 23 % („ელ მუნდო“) 0 % („ელ პაისი“), 0 % („მარკა“).



ჯონ ტოშაკი

***ვიქტორ ფერნანდესი (ესპანეთი). ღირსებები:*** ახალგაზრდობა, ამბიციურობა, წინა გუნდებში მოპოვებული წარმატებები. „სელტაში“ მუშაობის პერიოდში შექმნა ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომელიც ესპანეთში, შესაძლოა, ყველაზე უფრო მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს. ***ნაკლი:*** სუპერკლუბებში არასოდეს უმუშავია, „სელტაში“ დარჩენის სურვილი აქვს. შესაძლებლობები: 15 % („ელ მუნდო“), 2 % („ელ პაისი“), 2 % („მარკა“).

***ხოსე ანტონიო კამაჩო (ესპანეთი): ღირსებები:*** კარგად არჩევს მოთამაშეებს, მწვავე შემტევი ფეხბურთის მომხრეა, ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა. ***ნაკლი*** „რეალის“ თვალთახედვით: აქვს რეალური შესაძლებლობა ესპანეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოუპოვოს. ერთხელ უკვე მუშაობდა „რეალში“, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. შესაძლებლობები: 0 % („ელ მუნდო“), 5 % („ელ პაისი“) 0 % („მარკა“).

***დანიელ პასარელა (არგენტინა): ღირსებები:*** აქვს ძლიერი ნებისყოფა; შეუძლია გუნდში დისციპლინის დამყარება. თუკი „რეალში“ მიიწვევენ, ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია (ახლა პასარელა ამ ქვეყნის ნაკრებს წვრთნის), თანახმაა იგი სიმბოლური თანხით გაანთავისუფლოს. ***ნაკლი.*** აქამდე წარმატება ერთადერთ გუნდში – ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში“ მოიპოვა, დესპოტი და უჟიათია, ფეხბურთის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კონფლიქტური მწვრთნელის სახელი აქვს. თუკი „რეალი“ პასარელას მიიწვევს, მაშინ გუნდს დატოვებს ფერნანდო რედონდო და მას ეტყობა, სხვებიც მიჰყვებიან. შესაძლებლობები: 11 % („ელ მუნდო“), 0 % („ელ პაისი“), 0 % („მარკა“).

## ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ 20 ᲒᲝᲚᲘ

რუსეთის პირველი დივიზიონის შეჯიბრებაში, სადაც გამარჯვება მახაჩყალის „ანჟისა“ (მის შემადგენლობაში თამაშობს თბილისის „მერანისა“ და „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ალეკო გოგიბერიშვილი) და ვორონეჟის „ფაკელს“ დარჩათ, დიდი ბრძოლა გაიმართა სნაიპერთა შორის.

აქ 23 გოლით პირველ ადგილზეა პერმის „ამქარის“ ფეხბურთელი პარამონოვი. ჩვენი გულშემატკივრების ძველმა ნაცნობმა მიხეილ ჯიშკარიანმა (სარატოვის „სოკოლი“) 20 გოლით მეორე ადგილი დაიკავა და გაასწრო მრისხანე ბომბარდირის სახელის მქონე ბრაზილიელ ანდრადინას (ტულის „არსენალი“), სნაიპერთა დავაში შარშანდელ გამარჯვებულს, რომელმაც 18 ბურთი გაიტანა. 14 გოლია ვასო სეფაშვილის (ნალჩიკის „სპარტაკი“) ანგარიშზე.

## 17 ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

***ავსტრალია – აშშ 2-2,*** პენალტებით 7-6

***ბრაზილია – განა,*** პენალტებით 4-2

ფინალი ჩატარდება 27 ნოემბერს.

## ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲤᲚᲐᲕᲘᲝ ᲙᲝᲡᲢᲐ

ეს სამწუხარო ამბავი რიო-დე-ჟანეიროდან მოვიდა – 93 წლისა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი ლეგენდარული მწვრთნელი 1944-1950 წლებში ფლავიო კოსტა. ნაკრების გარდა იგი დიდხანს იდგა სათავეში ვასკო და გამას და არაერთი მაღალი წარმატება მოუტანა როგორც ამ კლუბს, ისე ნაკრებს.

# ლორენცო ამორუზო: „გლაზგოში“ ბედნიერი ვარ“

„წლეულს ევროპულ ჰორიზონტზე კიდევ ერთი ძლიერი კლუბი გამოჩნდა: ეს „გლაზგო რეინჯერსია“. ამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალედ ითამაშა და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ქვეჯგუფიდანაც გავიდოდა. ამ და სხვა საინტერესო თემაზე ლაპარაკობს შოტლანდიურ გრანდის იტალიელი კაპიტანი ლორენცო ამორუზო“.

● ***როგორ აღიქვამთ „რეინჯერსის“ კაპიტნობას?***

— ცოტა გამიკვირდა კიდეც, ეს როლი რომ დამაკისრეს. მე ხომ მხოლოდ მეორე წელია, რაც ამ კლუბში ვარ. ზოგიერთი სხვა მოთამაშე, მაგალითად, იორგ ალბერტცს, უფრო დიდი შანსები ჰქონდა კაპიტნის სამკლაურის მოსაგებად. თუმცა, ძალიან ვამაყობ ამით, რადგან „რეინჯერსი“ დიდი კლუბია და განთქმულია მსოფლიოში.

● ***თქვენ ინტერნაციონალურ კლუბში თამაშობთ. როგორ უგებთ ერთმანეთს?***

— მინდორზე მუდამ ყველანი ინგლისურად ვლაპარაკობთ და ჯერ რამე გაუგებრობა არ ყოფილა. კულისებში შეიძლება ჰოლანდიური, იტალიური, ესპანური და ფინურიც გაიგონოთ, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს ერთიანი და შეთანხმებული გუნდი რომ ვიყოთ.

● ***დამეთანხმებით, „რეინჯერსი“ შოტლანდიის ლიგის გუნდთა უმეტესობას ძალიან აღემატება. როგორ გგონიათ, რისი ბრალია, რომ კლუბი ევროტურნირებზე სუსტ შედეგებს აღწევდა?***

— მართალი ბრძანდებით. წელიწადში მაქსიმუმ 10 დაძაბული მატჩი გვიწევს. ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, რომ შოტლანდიაშიც ისეთივე დონის ჩემპიონატი ტარდებოდეს, როგორიც, ვთქვათ, ინგლისში. ძლიერ გუნდებთან ხომ უფრო „იზრდები“. თუმცა ვერავის რჩევას ვერ მივცემ, რათა „რეინჯერსი“ პრემიერლიგაში გადაიყვანონ. აქ ბევრი ფაქტორია.

● ***როგორ გგონიათ, რამ შეუშალა ხელი „რეინჯერსს“, რომ ქვეჯგუფიდან გასულიყო?***

— ერთს ვიტყვი. გულშემატკივრები ჩვენით დიდად კმაყოფილნი არიან. ჩინებული სტილით დავამარცხეთ „პარმა“ – ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი. უპირატესობა გვქონდა მიუნხენის „ბაიერნთანაც“, რომელმაც, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დატოვა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება. გერმანელებთან მარცხი ცალკე უიღბლობის და ცალკე, გამოცდილების უქონლობის შედეგი უნდა იყოს. მაინც მგონია, რომ „რეინჯერსს“ ევროპაში კარგი მომავალი აქვს.



ამორუზო შოტლანდიის საჩემპიონო თასით

● ***სამშობლოსკენ არ მიგიწევთ გული? იტალიელები, საერთოდ, დიდხანს ვერ ეგუებიან სხვაგან ყოფნას...***

— კი, მაგრამ გლაზგოში ბედნიერი ვარ. მომწონს აქაური წეს-ჩვეულებები და ბევრი მეგობარიც მყავს. მოკლედ, ჯერ არ მომიწყენია.

● ***ლორენცო, ვინ არის თქვენთვის იდეალური პარტნიორი „რეინჯერსში“?***

— გინდათ მათქმევინოთ, რომ პორინი? ასე იყოს, მაგრამ იმდენად შეკრული გუნდი ვართ, რომ ცოტა ძნელია, ვინმე გამოარჩიო. და ვფიქრობ, ყველა ძლიერ გუნდში ასეთი დამოკიდებულება უნდა იყოს.

● ***არ შეიძლება, „სელტიკზე“ არ გკითხოთ. თქვენ თუ განიცდით ამ დერბის მნიშვნელობას? „რეინჯერსი“ – „სელტიკის“ ყოველი დაპირისპირება ხომ ლამის „საუკუნის მატჩად“ აღიქმება...***

— არ ვიცი. აქ გადმოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ „სელტიკთან“ რაღაც „სისხლიანი დერბი“ უნდა შემდგარიყო. თავიდან ვერ მიხვდები, მაგრამ მინდორზე გასვლისას სხვა ამბავია. იტალიაშიც იყო მსგავსი მატჩები, თუმცა ამხელა მნიშვნელობა არ მისცემია.

● ***რისი მიღწევა გსურთ ფეხბურთში?***

— „რეინჯერსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება და მსოფლიოს ჩემპიონობა იტალიის ეროვნული მაისურით!

● ***არ გგონიათ, რომ შოტლანდიაში თამაში იტალიის ნაკრებში მოხვედრის პატარა შანსს გიტოვებთ?***

— უნდა დავამტკიცოთ და დავამტკიცებთ კიდეც, რომ „რეინჯერსი“ დიდი კლუბია. მაშინ ყველაფერი – ო, ქეი იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

## „რუსული ფეხბურთი ნოკაუტშია“

ასე მიიჩნევს რუსეთის ტელევიზიის ცნობილი მიმომხილველი, წარსულში ოსტატთა გუნდის ფეხბურთელი ვლადიმირ პერეტურინი.

— ადრე ვთვლიდი, რომ რუსული ფეხბურთი მძიმე კრიზისში ანუ ნოკდაუნში იყო. შემდეგ დავრწმუნდი, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი ყოფილა, ე.ი. ნამდვილ ნოკაუტში აღმოვჩნდით. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ნაკრების მარცხი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, მოსკოვის „სპარტაკის“ სრული ფიასკო ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე გადაბარგება, მოსკოვის „ლოკომოტივის“ უნიათობა უეფას თასზე, ახალგაზრდული ნაკრების წარუმატებლობა სლოვაკებთან. რაღა რჩება...

## სამ თვეს „დაისვენებს“

„ფიორენტინის“ და იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი სამ თვეს „დაისვენებს“. მას ტერფის ოპერაცია დასჭირდა. როგორც იტალიური კლუბის ექიმებმა განაცხადეს, ეს ძველი ტრავმის რეციდივი გახლავთ. მათი აზრით, იგი სავსებით გამოჯანმრთელდება იტალიური „სერია A“-ს გადამწყვეტი თამაშების, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატის ფინალის პერიოდისათვის.

## ყალიბდება „ხულიგნების არმია“

საინტერესო ცნობა მოვიდა ბელგიიდან, იმ ქვეყნიდან, რომელსაც ჰოლანდიასთან ერთად ევალება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის ჩატარება. იქ ახლა, გასაგებია, არაერთი ღონისძიება მზადდება, მათ შორის, ყალიბდება, არ გაგიკვირდეთ, „ხულიგნების არმია“. ასე გადაწყვიტეს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ტოლი არ დაუდონ ინგლისელ თუ სხვა ქვეყნების ვაიგულშემატკივრებს, რომლებიც ბელგიასა და ჰოლანდიაში ჩასასვლელად ემზადებიან, წინ აღუდგნენ მათ.

## ადგილს სარატოვის „სოკოლს“ დაუთმობს?

შეიძლება რუსულ ფეხბურთში უმაგალითო რამ მოხდეს. უპატრონოდ მიტოვებულ ნიჟნი-ნოვგოროდის „ლოკომოტივიდან“ ყოველდღიურად გარბიან მოთამაშეები. თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ იჯარით მიწვეული ავაქოვი, კრუკოვეცი, ისაკოვსკი და ურბანეკი. კონტრაქტი გაუთავდა მოთამაშეების დიდ ჯგუფს, რომლებიც წავიდ-წამოვიდნენ და კლუბში დაბრუნებას აღარ აპირებენ.

როგორც „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ოვჩინნიკოვმა განაცხადა, თუ მას კლუბის საპატიო პრეზიდენტი ომარ შარაძე არ დაეხმარა, არ არის გამორიცხული, რომ კოლექტივმა საერთოდ შეწყვიტოს არსებობა და მის ნაცვლად უმაღლეს დივიზიონში სარატოვის „სოკოლი“ გამოვიდეს.

## „ჟემჩუჟინა“ აღარ იარსებებს

სოჭის „ჟემჩუჟინამ“ რუსეთის უმაღლესი დივიზიონი დატოვა და შეიძლება სულაც შეწყვიტოს არსებობა. გუნდი უკვე დატოვა რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ. დანარჩენები, როგორც ამბობენ, კრასნოდარის „კუბანს“ შეუერთდებიან და კრასნოდარის მხარეში ერთი გუნდიღა დარჩება, რომელიც რუსეთის პირველ დივიზიონში ითამაშებს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჯოვანე ელბერი

ელბერი (ჯოვანე დე სოუზა ელბერი, დაიბ. 1972 წლის 23 ივლისს) ბრაზილიაში ნაკლებად ცნობილი იყო, თუმცა 1990 წელს სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდულ პირველობაზე თავი გამოიჩინა და ჩემპიონი გახდა. ევროპაში გადმოსვლის შემდეგ იგი „მილანის“ საკუთრება გახდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია, სათადარიგოს ვერ გასცდა.. ეს, ერთის მხრივ, იოლად გასაგები იყო — „მილანში“ ხომ გამოჩენილი ოსტატები თამაშობდნენ. ამიტომ ჯოვანე ძალზე კმაყოფილი დარჩა, როცა იტალიელებმა იგი შვეიცარიის ყველაზე უფრო ცნობილ კლუბს, ციურიხის „გრასჰოპერსს“ ათხოვეს. იქ ბრაზილიელს ძალიან გაუჭირდა. „გრასჰოპერს“ — ინგლისურად „კუტკალიებს“ ნიშნავს. საქმე ის არის, რომ კლუბი ინგლისელმა დააარსა და „კუტკალიებს“ იმ ფეხბურთელებს ეძახდა, მინდორზე რომ უაზროდ დაბორიალობდნენ. ასევე „დაბორიალობდა“ ელბერიც, რომელსაც ვერც თამაში გამოუვიდა, ვერც მეგობრები შეიძინა და უცხო ქალაქში ვერც საკუთარი ადგილი ნახა. ციურიხში ძალზე ძნელია ცხოვრება თუ გერმანული არ იცი. უარეს შემთხვევაში შეიძლება ფრანგულითაც რაღაც მოახერხო. ელბერმა კი არც ერთი იცოდა და არც მეორე. რაც შეეხება ფეხბურთს, აქ თანდათან შეიძინა გამოცდილება, პირველი ევროპული წარმატებაც მოიპოვა — 1994 წელს შვეიცარიის თასს დაეუფლა, და, რაც მთავარია, გერმანელი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ასე მიიწვიეს იგი „შტუტგარტში“, გერმანულიც ისწავლა და ევროპული ცხოვრების წესსაც ნელნელა შეეჩვია. ბევრი რამ ხომ იღბალზეც არის დამოკიდებული. „შტუტგარტში“ ელბერმა ნამდვილი მეგობარი შეიძინა, ფრედი ბობიჩი, რომელმაც მისი მეგზურობა იკისრა. ვთქვათ ისიც, რომ არც ბობიჩია გერმანელი, თუმცა ამ ქვეყნის მოქალაქეა, ისე კი, წარმოშობით სლოვენიიდანაა. „შტუტგარტში“ ელბერამდე უკვე იყო ერთი ბრაზილიელი — გამოჩენილი ოსტატი კარლოს დუნგა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერ შეეწყო გუნდს, არც არავინ სცემდა ხმას, არც ის ელაპარაკებოდა ვინმეს. რაც შეეხება ელბერს, ბობიჩის წყალობით მან მეგობრებიც შეიძინა და ქალაქში თავისიანიც გახდა.

„შტუტგარტს“ ბუნდესლიგაში ყოველთვის სათანადო ავტორიტეტი ჰქონდა. ამიტომ 1995-96 წლების ჩემპიონატში დაკავებული მეათე ადგილი დიდ წარუმატებლობად ჩაითვალა. დაცვაში სრული ქაოსი სუფევდა — 34 მატჩში გუნდმა 62 (!) გოლი გაუშვა. ამაზე უარესი შედეგი მაშინ ბუნდესლიგაში მხოლოდ მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს“ ჰქონდა — 68 გაშვებული გოლი. მაგრამ იმედისმომცემი ის იყო, რომ ბრწყინვალედ თამაშობდა თავდამსხმელთა დუეტი: ბობიჩმა 17 გოლით სნაიპერთა შორის პირველი ადგილი დაიკავა, ელბერმა კი 16-ით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო იურგენ კლინსმანსა და შონ დანდისთან.

ერთი სიტყვით, ელბერი ბუნდესლიგაში შესამჩნევი ფიგურა გახდა. ამასთან, იგი ცალი თვალით ბრაზილიისკენ იყურებოდა, უნდოდა ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა:

— დედა მეუბნებოდა, რაც არ უნდა მოხდეს, მიწაზე მყარად იდექი, არ გაამაყდე. ბრაზილიაში ბევრი ფეხბურთელი დაავადდა „ვარსკვლავური ავადმყოფობით“. ადრე ეს გარინჩას მოუვიდა, ბოლო წლებში კი რომარიოს. იყო დრო, როცა მას მილიონობით ქომაგი ჰყავდა, შემდეგ კი ყველას გული აიყარა.



სურათებზე: შტუტგარტელი ელბერი (მარცხენა ფოტო); მარჯვნივ — ჰანს-იორგ ბუტმა მძიმედ დააშავა ბრაზილიელი

თავის მშობლიურ ქალაქ ლონდრინში ელბერმა უპატრონო ბავშვებისათვის ინტერნატი გახსნა, რადგან თვლიდა, რომ გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობა უნდა ეკისრა.

— ჩემი ვალია, დავეხმარო უპატრონო ბავშვებს. მე რომ მეტი ფული მქონდეს, ასეთ ინტერნატებს მარტო ლონდრინში კი არა, სხვა ბრაზილიურ ქალაქებშიც გავხსნიდი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა შვეიცარიაში ვთამაშობდი, ვაგროვებდი პროდუქტებს, ტანისამოსს, წამლებს და სამშობლოში ვაგზავნიდი. ადამიანებს კარგი უნდა გაუკეთო. განა ამაში არ არის ცხოვრების აზრი?!

მიუნხენის „ბაიერნმა“ ელბერს მიპატიჟება გაუგზავნა, მაგრამ ბრაზილიელი კარგა ხანს თავს იკავებდა:

— მე, რა თქმა უნდა, „ბაიერნში“ თამაშის წინააღმდეგი არა ვარ. ისე კი, ვთვლი, რომ ჯერ ცოტა ადრეა კლუბის გამოცვლა. ასეთ გუნდებში რომ თამაშობ, ყოველთვის რისკს ეწევი. საკმარისია დაშავდე და ძირითად შემადგენლობას საბოლოოდ უნდა გამოეთხოვო. „ბაიერნში“ ხომ ნაკრების მოთამაშეებიც კი სათადარიგოთა სკამზე სხედან.

მიუნხენიდან მიწვევა კი სულ უფრო ხშირად მოდიოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ელბერმა „შტუტგარტის“ შემადგენლობაში გერმანიის თასი მოიპოვა. ახლა ელბერი უკვე ყველას მოსწონდა. ასე გასინჯეთ, მას „მილანის“ ემისრებმაც მიაკითხეს, იმ კლუბის გაგზავნილებმა, რომელმაც ბრაზილიელი ძირითად შემადგენლობას არ მიაკარა. ელბერის პასუხი, ცოტა არ იყოს, უხეში იყო: „დაიკარგეთ აქედან, სულელებო!“ აი, „ბაიერნს“ კი უკვე ველარ უთხრა უარი, „შტუტგარტმა“ დიდი გამოსასყიდი მიიღო და ჯოვანეც იქ გადავიდა, რომელიც ლუდის მხოლოდ გერმანიის კი არა, მსოფლიოს დედაქალაქად ითვლება. ისე კი, ელბერი ირწმუნება, რომ არაყსა და ღვინოს კი არა, ლუდსაც კი არასოდეს მიჰკარებია და თავისთვის ყველაზე „მაგარ სასმელად“ ფორთოხლის წვენს თვლის.

გადავიდა „ბაიერნში“ თუ არა, ელბერი მეორედ დაეუფლა გერმანიის თასს. იურგენ კლინსმანი უკვე აღარავის ახსოვდა. გერმანელი მიმომხილველები ბევრს წერდნენ ჯოვანეს ბრწყინვალე ბრაზილიურ ტექნიკაზე, მოქნილობაზე, შესანიშნავ სისწრაფესა და გასაოცარ საგოლე ალღოზე. მან ორი წლის მანძილზე „ბაიერნში“ 49 მატჩი ითამაშა და 24 გოლი გაიტანა — ყოველ ორ მატჩში ერთი, რაც, ცხადია, ბუნდესლიგისათვის დიდი მიღწევა იყო. როგორც ჟურნალი „კიკერი“ წერდა, სულ თავის კარიერაში ჯოვანემ 136 მატჩში 65 გოლი გაიტანა. ასეთი მიღწევა ხომ ძალიან ცოტას ჰქონია.

თამაშით ხომ ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ გერმანელებმა ერთი ცუდი რამ შეამჩნიეს. მას შეუძლია მინდორზე გაიშხლართოს და სახეზე ტანჯვაც კი შეეტყოს. ეს ყველაფერი მოჩვენებითია, შეიძლება ელბერს საერთოდ არავინ შეხებია, შეიძლება ოდნავ გვერდი გამოსდეს. იგი შეშფოთებას გამოხატავს, თვალები ცრემლებით ევსება, ვითომ კონვულსიაც აქვს. მსაჯიც ადამიანია, იგი სცდება, თანაგრძნობას უცხადებს სიმპათიურ მულატს, მეტოქეს აჯარიმებს. გადის ერთი წუთი, ელბერი წამოდგება, ვითომც აქ არაფერიაო და განაგრძობს თამაშს. ასეთი ილეთების გამო იყო, რომ ჯოვანეს გერმანიაში „ბრაზილიის სახალხო არტისტი“ დაარქვეს. მაგრამ რა? — ჭკუას არ სწავლობს ელბერი, კვლავინდებურად სცდებიან მსაჯებიც.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ელბერმა „ბაიერნში“ თავისი წარმატებების მწვერვალს მიაღწია. იგი 1999 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, თუმცა სეზონი ვერ დაამთავრა. „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ შეხვედრაში მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა, ასე რომ დაისტატებულია პენალტების გატანაში, ბრაზილიელი მძიმედ დააშავა. მეკარეთა შორის მთავარი პენალტისტისა და პენალტისტებს შორის მთავარი მეკარის ბოდიშები საქმეს რას უშველიდა. ელბერს დიდი ხნის მკურნალობა მოუხდა და სეზონის მთავარი მატჩიც — ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბაიერნს“ შორის გამოტოვა. როგორც გერმანელი მიმომხილველები წერდნენ, ამ შეხვედრაში გუნდს ელბერი ძალიან აკლდა. ვინ იცის...

1999-2000 წლების სეზონის დასაწყისისათვის ელბერი სრულიად განიკურნა, გოლი გოლზე გააქვს და კვლავ ჩემპიონობას უმიზნებს. რაც შეეხება მეორე მიზანს, ეს კვლავინდებურად ბრაზილიის ნაკრები გახლავთ.

**ბიძი ბამრეკელი**

## ნბა-ს ვარსკვლავები

# რკინის გრინი

*ნბა-ს ყოველი ჩემპიონატი ახალი სახელებითა და რეკორდებით აღინიშნება. ფიქრობენ, რომ არც ეს სეზონი იქნება გამონაკლისი, ვინაიდან „ლეიკერსში“ დაბრუნებულმა ეისი გრინმა კალათბურთის ისტორიაში ზედიზედ ჩატარებული მატჩების აბსოლუტური რეკორდი უნდა დაამყაროს. საქმე ისაა, რომ სეზონის დასაწყისში ნბა-ს რეკორდსმენს 1028 ასეთი თამაში აქვს, ხოლო ბოლო შედეგი, რომელიც რონ ბუნს ეკუთვნის — 1041 მატჩი, აბა-სა და ნბა-შია მიღწეული.*

გრინი ამ მიზანს ალბათ ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში მიაღწევდა, რომ არა „ლეიკერსის“ ცნობილი მწვრთნელის პეტ რაილის გადაწყვეტილება — 1986 წელს სამ მატჩში სათადარიგო სკამზე დაესვა 23 წლის ეისი გრინი. ამით მის 14-წლიან კარიერაში ასამდე მატჩი ჩამოკლო, რაც მას აღიარებდა ყველაზე დიდ „რკინის ადამიანად“. ასე უწოდებენ ამერიკაში მსგავსი მიღწევის მფლობელებს.

ისე, გრინი სულაც არ ჰგავს ნბა-ს ტიპიურ მოთამაშეს, უფრო წესიერ ღვთის მოსავს ჰგავს. და ეს არცაა გასაკვირი. სტუდენტობისას გრინი განიმსჭვალა ღვთის მეტყველებით და წმინდად მისდევს მას.

არ ეწევა, თავის დღეში 35 წლის გრინს წვეთი სასმელი არ გაუსინჯავს, დღემდე უცოლოა. მის ძალაზე მეტყველებს ის, რომ „ლეიკერსში“ თამაშობდა 80-იან, „შოუ-ტაიმის“ წლებში და „ფინიქსსა“ და „დალასში“ ჩატარებული რამდენიმე სეზონის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ამბიციური კლუბის რიგებს.

ამ სპორტსმენზე ერთგვარი წარმოდგენა რომ შეგექმნათ ეს ორიოდე შტრიხიც საკმარისი უნდა იყოს. პირველი: ნბა-ში ახალგაზრდა გრინის გამოსვლის პირველ სამ წელიწადში „ლეიკერსი“ მეორედ გახდა ჩემპიონი, ილვრება ტრადიციული შამპანური ზეიმზე, მიუკერძოებელი კინოკამერა აღბეჭდავს როგორ აწვდიან გრინს სავსე ბოთლს, იგი კი, უდრტვინველად განზე დგამს მას და ისე განაგრძობს ზეიმს.

1996 წელს კი, ფარქეტზე ბრძოლაში მეტოქემ — ერ რეიდმა აშკარად ჩასცხო იდაყვი ყბაში და ორი კბილი ამოუგდო. გრინი დასწვდა იატაკზე ამოცვენილ თავის კბილებს და მშვიდად მიაშურა სათადარიგოთა სკამს. ამის შემდეგ მას დამცავი ნიღბით მოუწია თამაში.

მის პიროვნებას მატებს ის, რომ შექმნა ფონდი, რომლითაც ყოველწლიურად იმართება საზაფხულო საკალათბურთო შეკრება ღარიბი ოჯახების შვილებისათვის.

როცა გრინს ჰკითხეს, რაშია თქვენი გასაოცარი წარმატებების საიდუმლო? მან უპასუხა: — ეს მარტო ჩემი წარმატება კი არა, ღვთის მადლიცაა. მქონია ისეთი მძიმე დღეები, რომ დღემდე ვერ გამიგია, როგორ შევძელი იმ საშინელი ტკივილების, რაც მუდმივად თან სდევს პროფესიონალებს, არაფრად ჩაგდება და არ დავნებებულვარ. ჩემს თავს ვეუბნებოდი: გააცდენ ერთ-ორ თამაშს, დაისვენებ, შემდეგ კი შენს გუნდს სეზონის ბოლოს დააკლდება გამარჯვებები.

● *შეძლებთ ბუნის რეკორდის „მოხსნას“?*

— ამ ჯენტლმენის წინაშე ქუდს ვიხდი. დრო გვიჩვენებს შევძლებ თუ არა მისი მიღწევის გაუმჯობესებას.

● *რამდენიმე წლის წინათ „ფენიქსის“ მწვრთნელს, თქვენი სერია რომ არ შეწყვეტილიყო, ტრავმირებული ყბით გამოჰყავდათ მოედანზე. ამაზე მოლაპარაკებული იყავით?*

— არა მგონია, რომ იგი ჩემი უწყვეტი სერიის გულისათვის აკეთებდა ამას. ყოველთვის მინდოდა თამაში და შემეტანა ჩემი წვლილი გუნდის წარმატებაში. არ გეთანხმებით საკითხის ასეთ დაყენებაზე, ვინაიდან კოტონთან ასეთი საუბარი არ მქონია.

აი, ჩამტვრეული კბილებით პირველი მატჩი „უიტისთან“ კი, ნამდვილი გამოცდა იყო. ერთ წუთზე ოდნავ მეტი ვითამაშე და მოვითხოვე, რომ შევეცვალე, ვინაიდან კალათში ბურთს ვერ ვაგდებდი.

● *ვითამაშიათ გუნდში მეჯიკ ჯონსონთან და აბდულ ჯაბართან. მათ რა გავლენა მოახდინეს თქვენზე?*

— ორივე დიდი კალათბურთელია და მათი რჩევა გამომადგა ჩემს კარიერაში. მაგრამ ნაკლებად ტიტულოვან კალათბურთელისგანაც ბევრი სასარგებლოს გადაღება შეიძლება. ასეთებად იყვნენ: კურტ რემბისი, რომელიც სრულყოფდა და უსადაგებდა თავის შესაძლებლობებს გუნდის მიმართულებას, იმავე გუნდში განმაცვიფრებდა მაიკლ კუპერი, რომელიც ნიადაგ საუკეთესო ფორმას ინარჩუნებდა, „ფინიკსში“ კი მაღალშრომისუნარიანობით გამოირჩეოდა ფრეკ ჯონსონი, მას მარტო ბურთით ვარჯიში არ აკმაყოფილებდა და მეცადინეობის შემდეგ ათლეტური მომზადების დარბაზს მიაშურებდა... ამიტომაც მუდამ მზად შედიოდა თამაში.



გრინი — ნარინჯისფერი ბურთის მომჯადოებელი

## რა ხდება ქვეყანაზე

### ეს რა ფედერაციაა?!

სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებენ რუსეთის წამყვანი დიდოსტატები ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციას, რომელიც, მათი აზრით, სრული უმოქმედობით გამოირჩევა.

რუსეთის სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის გამარჯვებული **პეტრე სვიდლერი:** რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის დამოკიდებულებაზე წამყვანი დიდოსტატების მიმართ ის დეპეშაც ლაპარაკობს, რომელიც მან ახალ მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს გაუგზავნა: „პატივცემულო დიდოსტატო ალექსანდრ ხალიფმანო, რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია გულითადად გილოცავთ ლას-ვეგასის ტურნირში გამარჯვებას!“ ვთვლი, ეს დაუშვებელია. ე.ი.ულოცავენ არა მსოფლიო ჩემპიონატში, არამედ, უბრალოდ, ლას-ვეგასის ტურნირში გამარჯვებას! ჩემი აზრით, ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. მათ ხომ უნდა გახარებოდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონობა არ დაიკარგა, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა მოიპოვა...

რაც შეეხება რუსეთის ნაკრების გამოსვლას ბათუმში, პირადად მასში მიწვევა არ მიმიღია, თუმცა, პრინციპში, მიყვარს გუნდური ტურნირები, იქ თამაში ძალზე საინტერესოა. ვფიქრობ ევგენი ბარეევსაც და ალექსანდრ ხალიფმანსაც სურდათ ეროვნულ ნაკრებში თამაში, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ეს შეუძლებელია.

მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრ ხალიფმანი:** რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია იმისათვის, რაც კი ევალება, არაფერს აკეთებს. არ ეხმარება ბავშვთა და ახალგაზრდულ ჭადრაკს. როცა რუსეთის ნაკრებმა შარშან ელისტაში ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა, მისი წევრებისათვის პრემიები უნდა მიეცათ. ეს საკითხი მთელი წელი გაჭიანურდა, არავის არაფერი მიუღია.

### სადედოფლო საჩუქარი

#### მოტოდელტაპლანით ლონდონის 23-ვე ხიდის ქვეშ...

დაბადების დღეზე ისეთი საჩუქარი უნდა მიართვა, თვითონაც რომ გსიამოვნებდეს, ამბობდა თურმე ვინი-პუჰი, რომელიც იქვე დაიბადა, სადაც ამ შემოდგომაზე ეს ამბავი მოხდა, — ნისლიან ალბიონზე. ალბათ დიდიბრიტანელი ცოლ-ქმრული წყვილი სავსებით იზიარებდა ზღაპრული გმირის მოსაზრებას, როცა გადაწყვიტა ქვეყნის დედოფლისთვის დაბადების დღეზე დაუვიწყარი საჩუქარი მიერთმია და მოტოდელტოპლანით ლონდონის 23-ვე ხიდქვეშ „გაისეირნა“. მის უდიდებულესობას მიძღვნილი ფრენა მშვიდობიანად დამთავრდა. რა თქმა უნდა, პილოტებს ბუკინგემის სასახლეში მიწვევის იმედი მაინცდამაინც არ ჰქონიათ და უფრო იმაზე ფიქრობდნენ, რომ ნაკლებად საპატიო — პოლიციის განყოფილებაში მოხვედრა ასცდებოდათ. ნათელი იყო, რომ ლონდონის პოლიციის ჯენტლმენები ამ „მეფურ საჩუქარს“ ჯეროვნად ვერ შეაფასებდნენ და ცოლ-ქმარს გაამტყუნებდნენ საჰაერო ნავიგაციის წესების დარღვევაში, რაც კრძალავს დაბალ სიმაღლეზე უშუალოდ დასახლებულ რაიონში ფრენას. ამიტომაც, როგორც კი მოტოდელტოპლანის თვლები შეეხო მიწას, თავნება წყვილმაც ამჯობინა, რომ მის უდიდებულესობას ანონიმური საჩუქარი უძღვნას, წინასწარ მომზადებულ მანქანას მიაშურა და გაუჩინარდა...

## რა ხდება ქვეყანაზე

### მეკარის რევანში

„ახლა თქვენი რიგია“ — ამას უნდა ნიშნავდეს ერთ-ერთი ჟურნალისტისაკენ მიმართული ლონდონის სასამართლოდან გამოსულ — „ლივერპულის“ მეკარე ბრიუს გრობელარის ეს ჟესტი, რომელმაც მოიგო ბრიტანული გაზეთის The Sun-ის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე და ბეჭდვით ამ ორგანოს 85000 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა დაედო. შეგახსენებთ, რომ ინგლისურ ფეხბურთში გახმაურებული მექრთამეობის სკანდალში ზიმბაბველ მეკარეს ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევდნენ, მაგრამ მოლაპარაკებულ მატჩებში მისი მონაწილეობა სასამართლომ ვერ დაამტკიცა. The Sun-ს, რომელიც ნაადრევად სდებდა ბრალს გრობელარს ცოდვებში, მორალური ზარალის კომპენსაციასთან ერთად 500000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით ჯარიმაც დაედო სასამართლო ხარჯების დასაფარავად.



### „განა ეს ღირსეული პრეტენდენტია“?

პანამაში გაიმართა კრივის მსოფლიო ასოციაციის კონგრესი. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, ლენოქს ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩემპიონს ახალ მეტოქედ შეურჩიეს ბრიტანელი ჰენრი აკინვანდე.

— დიახ, ВБА-ს რეიტინგ-ლისტში აკინვანდეს პრეტენდენტებს შორის პირველი ადგილი უკავია, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი ამ მატჩში მონაწილეობის ღირსი არ არის.

საქმე ის არის, რომ აკინვანდეს ბოლო ორი წლის განმავლობაში ბრძოლა არ გაუმართავს. მელოუნმა ისიც კი თქვა, რომ თუ ეს მატჩი მაინც შედგება, იგი „კრივის სირცხვილად“ იქცევა.

ორი წლის წინათ ლუისი შეხვდა აკინვანდეს, მატჩი მსოფლიო ჩემპიონობის წოდებისათვის ВБС-ს ვერსიით მოეწყო. მაშინ ჰენრი მეხუთე რაუნდში დროის შეგნებულად გაჭიანურების გამო დისკვალიფიცირებული იქნა.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კეტბურთის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს სიმამრის ვალერიან ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს რამაზ გოგლიძეს სიმამრის გარდაცვალების გამო.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**26 ნოემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** რაგბი. მსოფლიო თასის ფინალი (14.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.10, 20.20), ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი, სპორტი“ (17.50), „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. რუსენბორგი — ბავარია (13.20), შოტლანდიის ჩემპიონატი (15.35, 19.15), ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.20), ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი. ნახევარფინალები (21.00), გერმანიის ჩემპიონატი (22.55), ***НТВ плюс спорт.*** ნბა — მიმოხილვა (14.55), ტრიატლონი. მსოფლიო თასი (15.25). ***ESPN.*** ესპანეთის საფეხბურთო მიმოხილვა (14.05), ჩემპიონთა ლიგა: ბორდო — ვალენსია (21.00), პორტუ — სპარტა (23.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (12.30, 20.30), ბობსლეი. მსოფლიო თასი (16.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.30).

**27 ნოემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „სტადიონი“ (19.00), ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.10). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.10, 20.25), ***კავკასია.*** „სპორტი, სპორტი, სპორტი“ (18.10), „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი: მატჩი მე-3 ადგილისთვის (13.15), ფინალი — (15.00, 21.20). ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (16.40), გერმანიის ჩემპიონატი (18.25), მატჩები თქვენი შერჩევით. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.25) — დამთავრებისას, მატჩი შერჩევაში დამარცხებულთან. ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს ჩემპიონატი (5.00, 11.40), ***ESPN.*** ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი — რუსენბორგი (9.30). იტალიის ჩემპიონატი: საფეხბურთო მიმოხილვა (22.30), ფიორენტინა — ბოლონია, პირდაპირი რეპორტაჟი (23.20). ***EUROSPORT.*** თხილამურები. მსოფლიო თასი (13.00, 15.00), ფეხბურთი. ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი (17.00) თხილამურები (ტრამპლინი), მსოფლიო თასი (20.30, 4.30), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (23.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00) — საბერძნეთიდან.

**28 ნოემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „დრიბლინგი“ (21.55), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.10), ***კავკასია.*** ფეხბურთის ლეგენდები (18.10) „ვარსკვლავები“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (13.15), ჩელსი — ბრედფორდი (19.55) მიმოხილვა და ჩემპიონატის მატჩი. იტალიის ჩემპიონატი (15.00, 23.25 — პირდაპირი რეპორტაჟი), ესპანეთის ჩემპიონატი (17.15), საფრანგეთის ჩემპიონატი (19.15), ჰოლანდიის ჩემპიონატი: ფეიენოორდი — პსვ ეინდჰოვენი (1.25). ***НТВ плюс спорт.*** ნბა (17.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: ბრედფორდი — ჩელსი, პირდაპირი რეპორტაჟი (19.50), ჩემპიონთა ლიგა: რეალი — დინამო კ. (22.00). ***EUROSPORT.*** თხილამურები, ტრამპლინი: მსოფლიო თასი (12.00, 15.30, 21.15, 17.30, სამთო — 14.00, 14.35, 22.00, 23.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15).

## 20 წლის წინანდელი თბილისის «დინამოს» ფეხბურთელები და ხელმძღვანელები




**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 2. პანათენაიკოსი, 8. ჩუი, 9. ბასტია, 11. პარიზი, 12 ტრენინგი, 16. იპონი, 18. გოგია, 19. ატაცი, 21. კარავი, 24. გაბელია, 26. ფიფა, 28. ვალენსია, 29. ტაიმი, 30. გაფრინდაშვილი.

**შვეულად:** 1. სპარტაკი, 3. ნანტი, 4. თარჩია, 5. აია, 6. სპარინგი, 7. კიი, 8. ჩანგი, 10. ტრეზორი, 13. ბლატერი, 14. სტილი, 15. სტიაუა, 17. პირსი, 20. სიერა, 22. ვიალი, 23. პაიჭაძე, 24. გეიმი, 25. სპარტა, 26. ფრე, 27. სასროლეთი.

### საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
სოფ. ქარდენახი




შამათი 2 სვლაში

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეd5! მუქარა 2. ე:e5X.
1. ...კ:d5 2. ლ:h7X.
1. ...მფ:d5 2. ლc6X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.